

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ტიკურიშვილი

დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების როლი
მიუსაფარ ბავშვთა განათლების პროცესში: გამოწვევები და
პერსპექტივები

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეციერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სოციალური მუშაობის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის საკვლევ მიმართულებასაც წარმოადგენდა: დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების როლი მიუსაფარ ბავშვთა განათლების პროცესში: გამოწვევები და პერსპექტივები. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისში მოქმედ ცენტრებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული ცენტრის თანამშრომლებმა, ბენეფიციარებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებმა და სფეროს ექსპერტებმა.

კვლევის ჩასატარებლად შევისწავლეთ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა, რომლის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები ბავშვთა ზრუნვის სტანდარტის მიხედვით, წარმოადგენენ დამხმარე სერვისებს მიუსაფარი ბავშვების განვითარების პროცესში. მათი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა ხელი შეუწყონ ბავშვებს, რომ მიიღონ ასაკის შესაბამისი განათლება. თუმცა არსებობს გარკვეული სახის შემაფერხებელი ფაქტორები, რის გამოც აღნიშნული დამხმარე სერვისები ვერ ახერხებს ხარისხიანად ფუნქციონირებას და არსებობს მრავალმხრივი გამოწვევები ამ მიმართულებით.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები კვლევისთვის რელევანტურ პირებთან. კვლევის შედეგების ანალიზიდან გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიუსაფარ ბავშვთა ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო სისტემებში ჩასართველად. თუმცა მიუხედავად ამისა, არსებობს ისეთი სახის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლით მათ აღნიშნული პროცესების წარმართვაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებისა და დამხმარე პროგრამების რაოდენობის გაზრდა, არსებულის განვითარების პარალელურად, შეიქმნას სპეციალური პროგრამა, რომელიც იზრუნებს მიუსაფარი ბავშვების ოჯახის გაძლიერებაზე, გაზრდის სკოლების ჩართულობას და მოახდენს მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებას, რათა შემცირდეს ცენტრების მიერ სასკოლო პროცესში ჩართული ბავშვების სკოლის მიტოვების პრევენცია.

Annotation

The research was carried out within the Master program of Social work, whose study direction was next: Day care centers and 24 hours respite care center's role in the educational process of homeless children: challenges and perspectives. The research was carried out in Tbilisi's acting centers. Staff of those centers, beneficiaries, representatives of educational institutions and the experts were involved in this study.

For carrying research, we discussed relevant literature connected to this issue. After analyzing, some cases were revealed: According to the children care standards, day care centers and 24 hours respite care centers are helping services in children development. One of the main responsibilities is to promote children to have education, which is relevant of their age. Though, there are some obstacles and because of them, those services can't work properly. So there are many-sided challenges in this sphere.

For understanding this issue, we used methods of qualitative research. We held in-depth interviews with relevant people. Based on this research, some cases were revealed: day care centers and 24 hours respite care centers play important role in involving children in educational systems. Despite this, there are some difficulties, which interrupt the process of the system. It is vitally important to increase the quantity of countries foundation and supporting programs, create specific programs, which will support homeless children's families, increase role of schools and give teachers proper information about this subject. and all of them are for decreasing the amount of school leaving occasions.

სარჩევი

შესავალი	4
I თავი. ლიტერატურის მიმოხილვა:	6
II თავი. მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი.....	28
კვლევის მიზანი და ამოცანები	28
მეთოდოლოგია.....	28
კვლევის შედეგების ანალიზი	31
ოჯახში ძალადობის გავლენა:	31
ნივთიერებებზე დამოკიდებულება:.....	32
ემოციური და ქცევითი დისფუნქციები ბავშვებში	33
ქუჩაში არსებული გარემო და დაბრუნების რისკი	35
ოჯახის დამოკიდებულება განათლების მნიშვნელობაზე	37
დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების არასაკმარისი რესურსები.....	39
ოჯახის გაძლიერების პროგრამის მნიშვნელობა.....	42
სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები.....	45
დისკრიმინაცია და ბულინგი სკოლაში	47
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი რელევანტურობა.....	50
ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მნიშვნელობა დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების საგანმანათლებლო აქტივობებში.....	52
საიდენტიფიკაციო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა.....	54
სახელმწიფოს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შეფასება.....	56
დასკვნა და რეკომენდაციები	60
გამოყენებული ლიტერატურა:.....	66
დანართი.....	72

შესავალი

პროექტი განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავდა განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მაჩვენებლის გაზრდას ყველა ბავშვისთვის განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკური წარმომავლობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური მდგომარეობისა. (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, 2017) პროგრამის შემუშავება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა და სტრატეგიები არ შეესაბამებოდა იმ ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე ავტომატურად ამოქმედდა 1994 წელს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციაზე ხელის მოწერით. ამრიგად, აღნიშნული თარიღის შემდგომ ქვეყანა ვალდებულია, სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის უფლება და ვალდებულება უფასოდ მიიღოს ასაკისა და განვითარების შესაბამისი განათლება. ამავდროულად კონვენციის თანახმად, ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საშუალო განათლების ხელმისაწვდომობა, თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე. (ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989)

თუმცა მიუხედავად აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტებისა, საქართველოში საკმაოდ მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემის აქტუალობა მიუსაფარ ბავშვებთან მიმართებაში. მიუსაფარი ბავშვები ერთ-ერთ იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებიც ხშირად რჩებიან განათლების სისტემის მიღმა. გაეროს „ბავშვის უფლებათა კომიტეტი“ 1990-იან წლებში იყენებს ტერმინს „ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვები“. უპირველეს ყოვლისა, „ქუჩის ბავშვის“ ცნების აღნიშნული სახით ვარიაციამ ყურადღება გაგვამახვილებინა იმ მნიშვნელოვან შეხედულებაზე, რომლის მიხედვითაც თუ ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს ქუჩაში, ეს არ არის მისი დანაშაული, არამედ წარმოადგენს შედეგს სიცოცხლისთვის და განვითარებისთვის არაშესაფერისი გარემოებების არარსებობისა, რომელშიც ბავშვი აღმოჩნდა. (UNICEF, 2018). გამომდინარე არსებული შეხედულებებისა, ბუნებრივია ჩნდება კითხვები, რა

ზიანს აყენებს ბავშვებს ის სოციალური გარემო, რომელშიც მათ უწევთ არსებობა? ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური გარემო (ოჯახი, მეგობრები) ემოციური ფონი, რომელსაც ბავშვები განიცდიან მათთან ურთიერთობისას და ქცევის სახეები, რომელსაც ის იძენს მათთან ყოველდღიური კონტაქტის შედეგად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის იდენტობის ჩამოყალიბებაზე, მის ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე.

შესაბამისად ბავშვის ფიზიკური და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის მისაღწევად მნიშვნელოვანია იგი იზრდებოდეს მისთვის უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამავდროულად პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, საჭიროა არა მხოლოდ მეტი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესებში, არამედ აუცილებელია სწორად შემუშავდეს მათი განვითარების გეგმა, მოხდეს მათი რისკებისა და საჭიროებების შესწავლა და შემდგომ შეიქმნას ინდივიდუალური მოქმედების გეგმა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების როლი და მათ მიერ აღებული პასუხისმგებლობა მიუსაფარ ბავშვთა სოციალური და კოგნიტურ-ემოციური განათლების პროცესში, გამომდინარე იქიდან, რომ დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ მიუსაფარი ბავშვების აღმოჩენისა და შემდგომ მათი განვითარების პროცესში. ამდენად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ მათი მუშაობის მნიშვნელობა, განისაზღვროს პოზიტიური ცვლილებებისთვის მისაღწევი გეგმები, მოხდეს ცენტრებისა და თავშესაფრების საჭიროებებისა და გამოწვევების განსაზღვრა.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, განსაზღვროს ის გამოწვევები, რომლებსაც დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები მიუსაფარ ბავშვებთან საგანმანათლებლო მუშაობისას ხვდებიან. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით გაანალიზოს და შეისწავლოს, მიუსაფარი ბავშვების ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებები და მათი გავლენა განათლების მიღების პროცესზე. კვლევის პროცესში მოახდინოს დღის ცენტრებისა და თავშესაფრების შესაძლებლობებისა და საქმიანობის ანალიზი და ამავდროულად შეაფასოს სახელმწიფოს მიერ მიუსაფარ ბავშვთა მიმართ გატერებული პოლიტიკა.

I თავი. ლიტერატურის მიმოხილვა:

განვითარების ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდი და ის ცვლილებები, რომლებიც ამ დროს მიმდინარეობს წარმოადგენს პიროვნების განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. განვითარება ეს არის დინამიკური და სენსიტიური პროცესი, რომელზეც სხვადასხვა ასპექტები ახდენს გავლენას. (Demetriou, Spanoudis & Mouyi, 2011) ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების როლი ბავშვისა და მოზარდის განვითარებაზე. გამომდინარე აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობისა, ადამიანის განვითარების ანალიზის პროცესში სწორედ ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელს გამოვიყენებთ. სპეციალისტებს აღნიშნული მოდელი ეხმარება გაიაზროს ყველა არსებითი ფაქტორების მნიშვნელობა ადამიანის განვითარებაში, დაწყებული ადამიანის გენომიდან სოციალურ სისტემებამდე. ამის მიზეზი კი არის ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის მიხედვითაც ყველა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე და შედეგად ცვლიან და აყალიბებენ ადამიანის სოციალურ უნარებს, მის კოგნიურ შესაძლებლობებსა და ემოციურ სტაბილურობას. (Ashford & LeCroy, 2010)

ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის ერთ-ერთი შეხედულების თანახმად ბავშვის კოგნიტური განვითარების უზრუნველყოფა და განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ადამიანის განვითარების რთულ ციკლში. ბავშვისა და მოზარდის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ჩართვას ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობებში. მეცნიერები, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობდნენ და სხვადასხვა ცდებისა თუ დაკვირვების საფუძველზე ჰქმნიდნენ თეორიებს, გამოთქვამენ არსებითად განსხვავებულ პოზიციებს განვითარებისა და განათლების ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით. ასევე ჰქონდათ განსხვავებული შეხედულება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა სახით და სიხშირით უნდა მომხდარიყო ბავშვის ჩართვა საგანმანათლებლო აქტივობებში. ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელი გარკვეულწილად თანხვედრაში მოდის ბავშვისა და მოზარდის განვითარებასთან დაკავშირებულ თეორიებთან. თეორიები, ისევე როგორც მოდელი ყურადღებას ამახვილებს როგორც გარემოს როლზე, ასევე პიროვნების ემოციურ-

ფსიქოლოგიურ სტაბილურობაზე, მის კოგნიტურ უნარებზე, იმ ბიოლოგიურ თუ სოციალურ ფაქტორებზე, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჟან პიაჟეს და მისი კოგნიტური განვითარების თეორიის მნიშვნელობა განათლების არსისა და მისი საჭიროების მიმართ. ასევე თეორია ყურადღებას ამახვილებს პიროვნების ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე, მისი ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვამდე. თეორიაზე დაყრდნობით მსჯელობა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: პირველის მიხედვით განათლება და განვითარება წარმოადგენს იდენტურ პროცესებს, მეორე პოზიციის მიხედვით განათლება და განვითარება ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული პროცესებია, ხოლო მესამე პოზიცია, რომელსაც თავად პიაჟე ემხრობა მდგომარეობს იმაში, რომ განათლება, სწავლა დამოკიდებულია განვითარების არსებულ დონეზე. (Mayer, 2008) ამ მხრივ მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ პიაჟეს იმ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც, იმისთვის რომ მოხდეს ბავშვის კოგნიტურ-ფსიქიკური განვითარება, აუცილებელია რომ სწავლების პროცესი იყოს უწყვეტი და ყოველი შემეცნებითი პროცესი ეყრდნობოდეს ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ პიაჟე არ გამორიცხავდა პედაგოგებისა და სპეციალისტების ჩარევას, როგორც ბიძგის მიმცემ პერსონებს ბავშვის განვითარებაში, მაგრამ მთავარ როლს აკისრებდა ბავშვის განვითარების სტადიას მორგებულ საგანმანათლებლო მიზნებს, სხვადასხვა კონცეფციებსა თუ განვითარების გეგმებს. (Demetriou, Spanoudis & Mouyi, 2011)

ამდენად პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, იმისთვის რომ მოხდეს ბავშვის განვითარება, მისი სწავლება რომ ეფექტურად განხორციელდეს, ეს უკანასკნელი შესაბამისი უნდა იყოს მისი განვითარების დონის. თუმცა ლევ ვიგოტსკიმ მოგვიანებით არსებითად განსხვავებული შეხედულება შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, ვიგოტსკი, ისევე როგორც პიაჟე, იზიარებდა სწავლისა და განათლების მიღებას, როგორც აუცილებელ ელემენტებს ადამიანის კოგნიტური თუ ემოციური განვითარებისა, თუმცა ვიგოტსკი ემიჯნებოდა პიაჟეს და აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მაშინ იქნებოდა განათლების მიღების პროცესი (სწავლება) ადეკვატური, როდესაც იგი გაუსწრებდა, (მაგრამ არა რადიკალურად) მათ განვითარების დონეს. აქ ნიშანდობლივია იმის

აღნიშვნა, რომ ვიგოტსკი ეყრდნობოდა ბავშვებში განვითარებულ ყველა იმ უნარის სწავლებით გააქტიურებას, რომელიც გაჩნდა განვითარების პროცესში, მაგრამ ჯერ არ არიან ბოლომდე გააქტიურებულნი. ასევე მნიშვნელოვანია ვიგოტსკის მიერ შემოღებული ცნება „განვითარების სენსიტიური პოზიცია“, რომელიც აერთიანებდა განვითარების იმ პერიოდს, როდესაც ბავშვი (მისი ემოციურ-ფსიქიკური მდგომარეობა) განსაკუთრებით სენსიტიურია სოციალურ გარემოში მომხდარი ნებისმიერი ცვლილებების მიმართ. (Gillen, 2000) ამდენად საჭიროა სწორად განისაზღვროს ბავშვის შემეცნებითი უნარები და სწორედ ამ უკანასკნელის შესაბამისად მოხდეს მისთვის სასწავლო პროცესების დაგეგმვა, რადგან ვიგოტსკი მოიაზრებდა, რომ განათლებისა და განვითარების პროცესზე ზეგავლენას ახდენს სწავლების ვადიდან გადახვევა, მეცნიერის აზრით შესაძლებელია განვითარების ხელოვნური შეფერხება მოხდეს, სწორედ იმის გამო რომ არ მოხდა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა. ამდენად ვიგოტსკი განათლებას მიიჩნევდა იმ მექანიზმად, რომელიც ბავშვებს მომავალში შესაძლებლობას მისცემდა განეხორცილებინათ საკუთარი სურვილები და მიზნები. (Mayer, 2008)

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ჯონ დიუის მოსაზრებები განათლებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. დიუი ეწინააღმდეგებოდა „ბუნებრივი განვითარების“ იდეას, რაც პირველ რიგში წინააღმდეგობაში მოდიოდა ევოლუციის თეორიასთან. დიუის თეორია პროგრესს მოიაზრებდა, როგორც ადამიანის ძირითად პასუხისმგებლობას. ამავდროულად, განათლების სპეციალისტი განვითარების მთავარ ინდიკატორად მოიაზრებდა განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მის ჩართვას ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობებში, რათა პიროვნებაში მომხდარიყო სწორი სოციალური ფასეულობების ჩამოყალიბება. მეცნიერს განათლება განხილული აქვს, როგორც მომზადება ცხოვრებისთვის. დიუი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ გარემოს ბავშვის განვითარების პროცესში და ამიტომაც აღნიშნავდა, რომ ბავშვები და მოზარდები აუცილებლად უნდა რეაგირებდნენ გარემოდან წამოსული ცვლილების სიგნალებზე. (Schechter, 2011)

მნიშვნელოვანია დიუის მოსაზრება სწავლის მიწოდებასა და ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პოზიცია მას განვრცობილი აქვს წიგნში „გამოცდილება და განათლება“ რომელშიც იგი შემდეგნაირად საუბრობს: „განათლების

ახალი სკოლის ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ სწავლება უნდა დაიწყოს იმ გამოცდილების ფარგლებში, რაც მოსწავლეებს უკვე აქვთ. ეს გამოცდილება და ამ გამოცდილების პროცესში განვითარებული შესაძლებლობები შემდგომში სწავლისთვის საწყისი პუნქტის, ათვლის სათავეა“ („შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, 2018, გვ. 142) ამგვარად, მისთვის განათლება მხოლოდ თეორიული მასალის მიწოდებას არ გულისხმობს, არამედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი დაგროვილი ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობას, რაც გარკვეულწილად გულისხმობს ბავშვის შესაძლებლობების განვითარებას მისთვის განათლების მიწოდების პროცესში.

შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თეორიები და განათლების გავლენა პიროვნების განვითარებაზე გარკვეულწილად გვიქმნის წარმოდგენას, თუ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ბავშვის კოგნიტური განვითარებისთვის. აღნიშნული შემთხვევებიდან გამომდინარე, ვიღებთ გარკვეული უკუკავშირის მქონე პროცესებს, როგორც სისტემები, რომლებიც მუდმივად ერთმანეთზე მომქმედებენ და იწვევენ ცვალებადობას. (Raghavan & Alexandrova, 2015) განათლების მნიშვნელობა მხოლოდ ამ მახასიათებლით არ არის შეზღუდული. თანამედროვე კვლევების მიხედვით, განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ფიზიკური და ემოციური-ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სტაბილურობისა და ჩამოყალიბების პროცესში. 2015 წელს ჩინეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით ზრდასულები, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული სრული ზოგადი განათლება, უფრო მეტად იღებდნენ ალკოჰოლსა და მოიხმარდნენ თამბაქოს ვიდრე ის ზრდასრულები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ სრული ზოგადი განათლება. ამავდროულად კვლევამ აჩვენა, რომ პიროვნების ემოციური და ფსიქოლოგიური სტაბილურობა 45%-ით დამოკიდებულია მათი განათლების ხარისხზე და იმაზე თუ რაამდენად ადეკვატურად იღებდნენ ასაკის შესაბამის განათლებას. დაკვირვებების შედეგად აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ სრული ზოგადი განათლება და ამავდროულად იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ასაკის შესაბამის სასწავლო აქტივობებში, ზრდასრულობის პერიოდში უფრო მეტად არიან დაცულნი მენტალური პრობლემებისგან. (Huang, 2015)

განათლება, არა მხოლოდ გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, არამედ ხშირად განაპირობებს პიროვნების სოციალურ განვითარებას.

აღნიშნული შეხედულებების მიხედვით, ის ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ინტენსიურად საგანმანათლებლო პროცესებში ან მათი ჩართულობა არ იყო შესაბამისი, მათი როგორც ბიოლოგიური ასევე კოგნიტური ასაკის, ზრდასრულობის პერიოდში ხასიათდებოდნენ დაბალი სოციალური უნარებით. კვლევა, რომელიც ჩატარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის, ასკვნის რომ 15 წლის მოზარდებში (გამომდინარე იქიდან თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესებში) უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს ის ქცევები და უნარები, რომლებიც მათ დაეხმარება შემდგომში საზოგადოებასთან სოციალიზაციის პროცესში. კვლევის მიხედვით ბავშვები და მოზარდები სწავლების პროცესში იყალიბებენ მსჯელობისა და ფიქრის უნარს, (აქცენტი კეთდება ტექნიკურ საგნებზე) ლიტერატურის მეშვეობით შეუძლიათ სოციალური ურთიერთობების შემეცნება. ამდენად მათი გამოცდილება, სწავლების პროცესის პარალელურად ემოციური და ქცევითი უნარების ჩამოყალიბება, (გადაწყვეტილების მიღების გზებისა და არჩევანის გაკეთების საშუალება) კვლევის მიხედვით არის ის მთავარი წინაპირობა, რომელიც ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების განვითარებას. (OECD, 2018)

ამდენად აღნიშნული თეორიებისა და განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით ადამიანის განვითარებაზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განათლება, სასწავლო პროცესებში აქტიური ჩართულობა და სწავლების სწორად მიწოდება (ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში) ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის განვითარების პროცესში. თუმცა, გარდა პრაქტიკული ქმედებისა და მისი ზეგავლენისა განვითარებაზე და პიროვნების განათლებაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადამიანის ბოი-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა და მისი განვითარება. აღნიშნული ფაქტორები ზემოქმედებენ ადამიანის განათლებისა და შემეცნების პროცესზე და გარკვეულწილად ხდებიან მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორები.

ამდენად კავშირი, რომელიც არსებობს პიროვნების განათლების დონესა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის, (იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობა) თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით არის საკმაოდ მაღალი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ბავშვობისა და

მოზარდობის პერიოდში არ იღებდნენ განათლებას ხშირ შემთხვევაში ზრდასრულობისა და შუა ზრდასრულობის პერიოდში არიან მსხვერპლნი ისეთი მძიმე დამოკიდებულებისა, როგორცაა ალკოჰოლისა და მავნე ნივთიერებების ხშირი მოხმარება, ყალიბდებიან აქტიურ მწვევლებად, მათთვის დამახასიათებელია ემოციური და ფსიქიკური აშლილობები და ა.შ. შესაბამისად მკვლევარები რეკომენდაციების სახით გასცემენ შენიშვნებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ბავშვებში, განსაკუთრებით კი მიუსაფარი ბავშვებისთვის, განათლების მიწოდების ხარისხის გაზრდას, რათა ამით ხელი შეუწყონ პრევენციის გზების განვითარებას. (Clouston & Hofer, 2015)

დასკვნა, რომელიც განხილულია ზემო აბზაცში, იწვევს საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან კითხვებს. პირველ რიგში, საინტერესოა რა გავლენა აქვს ბიოლოგიურ ფაქტორებს ადამიანის განათლების დონეზე და მის კოგნიტურ უნარებზე? ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ უშუალოდ რა პროცესები, ფაქტორები და გარემოებები ახდენს ადამიანში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე გავლენას. აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას გამოყოფენ ე.წ. შინაგან ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ბიოლოგიურ განვითარებაზე, მაგალითისთვის: ადამიანის გენომი, მოლეკულური ურთიერთქმედებები, ფიზიოლოგიური და ნერვოლოგიური სისტემები. პარალელურად ბიოლოგიური პროცესებისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სოციალური გარემოს ზეგავლენა, რომელიც მოიცავს სოციალური სტრუქტურებსა და მასთან დაკავშირებულ მიკუთვნებულობისა თუ განცალკევების შეგრძნებას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ურთიერთობას უახლოს სოციალურ გარემოსთან(სკოლა, მეგობრები). (Harris & Mcdade, 2018)

ბიოლოგიური პროცესებიდან უნიშვნელოვანესია გამოვყოთ, თანამედროვე კვლევების მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ადამიანის გენომი და მისი გავლენა პიროვნების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის მიხედვით, გენებს და მათ ურთიერთქმედებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ადამიანის ფუნქციონირებაზე, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მშობლების გენების გავლენაზე ბავშვის შემდგომ ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე. (Calkins, 2011) ამდენად კვლევების მიხედვით, დასტურდება რომ

მშობლების გენომიდან, რომელთათვისაც დამახასიათებელია უარყოფით ემოციურობაზე ტენდენცია, დაბალი კოგნიტური შესაძლებლობები, შესაძლებელია ბავშვის გენომმა აითვისოს აღნიშნული ნეგატიური მახასიათებლები. შედეგად იგი როგორც ბავშვობის ისე მოზარდობის პერიოდში გამოამჟღავნებს სოციალურ გარემოში აგრესიულობას, დეპრესიისადმი მიდრეკილებას და მისთვის დამახასიათებელი იქნება დაბალი სოციალური და კოგნიტური უნარები. (Horwitz & Neiderhiser, 2011)

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ბავშვის გენომის ჩამოყალიბების და შემდგომ მისი განვითარებისთვის მშობლების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და მათი კოგნიტური შესაძლებლობები. მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ გენომის გავლენაზე ბავშვის კოგნიტურ უნარებზე. კვლევის მიხედვით დასტურდება შემდეგი საკითხები: იმ ბავშვებს რომელთა მშობლების სოციალურ-ეკონომიკური და კოგნიტური უნარები არის მაღალი, გენებში არსებული კოგნიტური უნარების განვითარება 10 თვიდან 2 წლამდე 0%-დან 50%-მდე იზრდება, ხოლო იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლებისთვის დამახასიათებელია დაბალი კოგნიტური უნარები და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, ზემოთ მოყვანილ ზრდა-განვითარების პერიოდში დამახასიათებელი 0%-იანი კოგნიტური ზრდა. ამავდროულად, დაკვირვების შედეგად აღმოაჩინეს, რომ მემკვიდრეობით მიღებულ გენებს, გავლენა აქვთ იმაზე თუ რამდენად არის ბავშვი მზად სასკოლო სწავლებისთვის. კვლევების მიხედვით დადგინდა რომ, გენს აქვს კოგნიტურად ზრდის შესაძლებლობა, მაგრამ არასაკმარისი სოციალური და ეკონომიკური გარემო ხელს უშლის მის კოგნიტურ განვითარებას. (Tucker-Drob, Briley & Harden, 2013)

ამავდროულად, გარდა აღნიშნული გენეტიკური მემკვიდრეობისა და ცვლილებებისა ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარებაზე ბიოლოგიური ფაქტორებიდან გამოყოფენ ბავშვისა და მოზარდების კვების რაციონის ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ მას დიდი გავლენა აქვს სწავლებისა და ქცევითი-ემოციური უნარების განვითარებაზე, რადგან საკვებიდან მიღებული ვიტამინები ეხმარება ტვინს განვითარებაში. ჯანსაღი საუზმის პროპაგანდა სკოლის ასაკის ბავშვებში დაკავშირებულია მათ ჯანმრთელობის სტატუსთან გრძელვადიან პერსპექტივაში. გამოტოვებული საუზმე ასოცირდება სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემასთან

და ხელს უშლის კოგნიტურ და ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას, ისევე, როგორც აკადემიურ მიღწევებსა და სწავლებას. ბავშვები, რომლებიც არ საუზმობენ, უჭირთ საგაკვეთილო პროცესზე კონცენტრირება განსაკუთრებით კი შუადღით და დღის ბოლოს განიცდიან ენერჯის მაღალ დანაკარგს.(Goldfarb, 2017)

ჯანსაღ საუზმესთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებზე, სადაც ბავშვები და მოზარდები ვერ იღებენ განვითარებისთვის საჭირო საკვებ პროდუქტებს. სწორედ ამ საკითხს ეხება კვლევა, რომლის მიხედვითაც ოჯახები, რომლებიც გამოირჩევიან დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობებით და გამომდინარე აქედან, ვერ აწვდიან ბავშვებს საკმარის და განვითარებისთვის საჭირო პროდუქტებს, გვევლინებიან სტრესორებად ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. შედეგად ბავშვები გამოირჩევიან დაბალი კოგნიტური შესაძლებლობებით, ვერ აკონტროლებენ საკუთარ ქცევებს და ხშირად ემართებათ ემოციურ-ფსიქიკური აშლილობები. ამასთანავე საკვების უკმარისობა, სტრესი, რომელიც გამოწვეულია ბავშვებში ჰორმონი კორტიზოლის გამოყოფის მატებით, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს თავის ტვინის ჰიპოკამპუსზე, ანელებს მის მოქმედებას და განვითარებას. გამომდინარე აქედან მცირდება ბავშვის კოგნიტური უნარები, კონკრეტულად კი მისი მახსოვრობითი და ათვისებასთან დაკავშირებული უნარები. (Duncan, Magnuson & Votruba-Drzal, 2014)

ბავშვებში კვების დეფიციტი ან არასწორი კვება დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან პრობლემასთან, როგორც არის დიაბეტი. კანადის დიაბეტის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ 2018 წლის კვლევის მიხედვით, ჰიპერგლიცემია ანუ მეორე ტიპის დიაბეტი ბავშვებში იწვევს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქიკური ტიპის დარღვევებსაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ კოგნიტური უნარების შემცირებაზე, რაც პირველ რიგში დიდ გავლენას ახდენს ბავშვის მეხსიერებასა და მისი ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. კვლევის მიხედვით დასტურდება შემდეგი ფაქტი: 7 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც იყვნენ ჰიპერგლიცემიის მატარებლები, კოგნიტური განვითარებით მკვეთრად ჩამორჩებოდნენ საკუთარ ბიოლოგიურ ასაკს. (Wherrett & Legault, 2018).

ფსიქოლოგიური და ემოციური პრობლემები, რომლებიც ვითარდება ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი განათლების მიღების როგორც შესაძლებლობაზე, ასევე მის პროცესზე. ამდენად ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ხასიათდებიან ემოციური და ქცევითი აშლილობებით, ხშირად არიან კოგნიტური განვითარების დაბალ მაჩვენებელზე. გამომდინარე აქედან, მათი აკადემიური უნარ-ჩვევები არის დაბალი და ხშირად საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რათა მოხდეს მათი განვითარება. დეპრესიისა და ემოციური პრობლემების დროს ბავშვები ხშირად ვერ ახერხებენ განვითარების დონეების ასაკის შესაბამისად დაძლევას, ხშირად აქვთ პრობლემები ასაკის შესაბამის სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში, ამოცანებში, ტესტურ სავარჯიშოებში. (Cuellar, 2015)

ბავშვებისა და მოზარდების განვითარებისა და ცოდნის დაგროვების პროცესში ძალიან დიდ როლს თამაშობს ასევე სტრესი და ის სტრესორები, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ხვდებიან სოციალურ გარემოში. ამ მხრივ საყურადღებოა დაბალი ეკონომიკური შემოსავლის მქონე ოჯახები, ასევე მნიშვნელოვანია ემოციური სტაბილურობა ოჯახში, რადგან ე.წ. „ემოციური შიმშილი“ ოჯახის წევრებს შორის ხშირად არის დეპრესიის გამომწვევი როგორც ბავშვებში და მოზარდებში, ასევე მშობლებშიც. ამდენად სტრესს და მის თანმდევ მოვლენებს მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია ტვინის ფუნქციონირებისა და ჩამოყალიბების პროცესში. (BenDavid-Hadar, 2014) პირველ რიგში თავს იჩენს ემოციისა და ქცევის კონტროლის უნარის დაქვეითება, ამასთანავე მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება პრობლემების გამკლავებს გზების ძიების პროცესში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრესი როგორც ბავშვებში, ასევე მოზარდებში იწვევს ყურადღების დეფიციტს და მეხსიერებასთან დავაშირებულ პრობლემებს. ამ პერიოდში ბავშვებში და მოზარდებში შეიმჩნევა აკადემიური უნარების დაქვეითების ტენდენცია, მათ უჭირთ დავალებების ამოხსნა და დამახსოვრება სხვადასხვა სახის ტექსტების, რადგან სტრესის დროს გამოწვეული ჰორმონები უშლის ხელს ჰიპოთალამუსის აქტიურ მუშაობას. (Thompson, 2014)

მოზარდობის პერიოდი, გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზმში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ბიოლოგიური თუ ემოციურ-ფსიქიკური ცვლილებები, წარმოადგენს

ერთ-ერთ რთულ პერიოდს ადამიანის ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს მოზარდების დიდი ნაწილი ხდება დამოკიდებული სხვადასხვა სახის მავნე ნივთიერებებზე, რომელიც თავის მხრივ არის საფუძველი მნიშვნელოვანო ნეგატიური ცვლილებების როგორც კოგნიტური, ასევე ფსიქიკური მიმართულებით. აღნიშნული ცვლილებები კი გარკვეულწილად განაპირობებს მათი შემდგომი ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობის დონეს. (Richardson, Kwon & Ratner, 2013) ამ მხრივ მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა მექსიკაში, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად არკვევდა თუ როგორი გავლენა აქვს ნივთიერებებზე დამოკიდებულებას მოზარდების აკადემიურ ხარისხზე და მათ კოგნიტურ უნარებზე. კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ნივთიერებების უარყოფითი გავლენა ჰიპოკამპუსის ფუნქციონირებაზე. ამავდროულად კვლევის დროს გაანალიზეს მონაცემები მოზარდების GPA-ის მიხედვით. შედეგად კვლევამ აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის პროცესში იყვნენ დამოკიდებული სხვადასხვა მავნე ნივთიერებებზე(ალკოჰოლი, მარიხუანა, და სხვა) გამოირჩეოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრებით. ამავდროულად ბიჭების მაჩვენებელი განსხვავდებოდა გოგონებისგან. მათი საშუალო GPA იყო 2,20 რაც შეესაბამებოდა C კატეგორიის, ხოლო გოგონების GPA იყო 2,45, ასევე C კატეგორიის. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტიც, რომ ის სტუდენტები რომლებიც აქტიურად მოიხმარდნენ მავნე ნივთიერებებს თავის ტვინში აღნიშნებოდათ ე.წ დაწვენილი ბირთვის მასის ზრდა. აღნიშნული ორგანო კი პასუხისმგებელია ისეთ გრძნობებზე, როგორიცაა სიამოვნების მიღების განცდა, შიშისა და აგრესიის გამოვლინების ფორმულირებაზე და სხვა. შესაბამისად ნივთიერებების მოხმარება იწვევს ემოციურ ცვლილებებს მოზარდებში, რაც დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთი წინა პირობაა. (Harris & McDade, 2018)

სოციალური გარემო და სოციალური სტატუსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის განვითარების პროცესში. სოციალური ფაქტორები ხშირად გვიყალიბებენ წარმოდგენებს ჩვენს შესაძლებლობებზე და შედეგად გვიყალიბდება გარკვეული სახის მოლოდინები საკუთარ თავის მიმართ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, განათლება და მასთან დაკავშირებული პროცესები ხშირად ექცევა სოციალური გარემოს ზეგავლენის ქვეშ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს მშობლებისა და მათი განათლების ხარისხის

ზეგავლენა ბავშების თვითშეფასებაზე და მათ დამოკიდებულებაზე სწავლის მიმართ. ამდენად მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, კოგნიტური შესაძლებლობებისა და ემოციური-ფსიქიკური სტაბილურობის ზეგავლენასთან ერთად, განათლების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური გარემოდან მიღებული და ჩამოყალიბებული რწმენები. თანამედროვე კვლევების მიხედვით გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ბავშებს ხშირად სჯერათ, რომ მათ არ შეუძლიათ იყვნენ საკუთარ მშობლებზე მეტად წარმატებულნი ან არ ხასიათდებოდნენ უკეთესი კოგნიტური უნარებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დარწმუნების და მისი კოლეგების ექსპერიმენტი. ისინი აკვირდებოდნენ მოსწავლეებს მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესში. პარალელურად ოთახში განთავსებულ ეკრანზე ისახებოდა მონაცემები თითოეული ბავშვის შედეგთან დაკავშირებით, რითაც საშუალება ჰქონდათ შეედარებინათ საკუთარი თავი სხვა მოსწავლეებთან. ექსპერიმენტის მსვლელობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც არ ჰქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება, ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას ეკრანზე გამოსახულ მონაცემებზე და ადარებდნენ საკუთარ შედეგებს სხვა ბავშებისას, მაშინ როდესაც ბავშვების ის ნაწილი რომელთა მშობლებს ჰქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება, ძირითადად არ ინტერესდებოდნენ ეკრანზე ასახული მონაცემებით. ამავდროულად, ექსპერიმენტით გამოიკვეთა შემდეგი სახის დასკვნებიც: ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც არ ჰქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება ან არ გამოირჩეოდნენ მათემატიკური აზროვნებით სჯეროდათ, რომ ამოცანებს ვერ ამოხსნიდნენ წარმატებით, ისინი ორიენტირებულნი იყვნენ წარუმატებლობაზე და არ სჯეროდათ საკუთარი შესაძლებლობების. (OECD, 2018)

ამავდროულად, გარდა აღნიშნული რწმენებისა, რომლებსაც ბავშვებს უახლოესი სოციალური გარემო უყალიბებს, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი, ბავშების განათლების პროცესში უჭირავს ასევე მშობლებისგან მიღებულ ემოციებს. კვლევა, რომელიც ჩატარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში გიჩვენებს, რომ ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ 73% მეტად განიცდიან ე.წ „უუნარობას“ ამოცანის ამოხსნის პროცესში ვიდრე ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ

როდესაც მშობელი, რომელიც თავად განიცდის გარკვეული სახის დისკომფორტს ან მღელვარებას, მაგალითისთვის გარკვეული სახის მათემატიკური ამოცანის ამოხსნის მომენტში, ის ამ დროს გაუცნობიერებლად უზიარებს საკუთარ შიშებს ბავშვს დახმარების პროცესში. ამდენად მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ხშირად მათემატიკის მიმართ ჩამოყალიბებული გარკვეული სახის „უუნარობები“ გამოწვეულია მშობლების ნეგატიური დამოკიდებულებით, რომლებიც საკუთარ ქცევით და ემოციებით ზეგავლენას ახდენენ შვილის განვითარებაზე. (OECD, 2019)

სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღნიშნოს მასწავლებლის როლიც ბავშვის ან მოზარდის განვითარების პროცესში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი არა მარტო პასუხისმგებელია პიროვნების კოგნიტურ განვითარებაზე, არამედ გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ და ფსიქიკურ სტაბილურობაზე. (Moran, 2015) აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს დაწყებით კლასში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს აღნიშნულ პერიოდში უწევთ შეგუება სოციალური გარემოს ცვლილებებთან ისინი განიცდიან ემოციურ და ფსიქიკურ დამაბულობას, რაც ბუნებრივია ზეგავლენას ახდენს მათ როგორც კოგნიტურ, ისე ქცევით და ემოციურ სტაბილურობაზე. ამდენად აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანია ძლიერი მხარდამჭერი რგოლის არსებობა ბავშვებისთვის, როგორც მშობლის ასევე სკოლის პედაგოგების სახით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კონელის და მისი კოლეგის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც დაწყებითი კლასის ბავშვების 22%, ხოლო საშუალო კლასის მოსწავლეების 39% აღნიშნავენ, რომ ისინი სწავლის პერიოდში მასწავლებლებისგან ვერ იღებდნენ მხარდამჭერ ურთიერთობებს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, მნიშვნელოვანი დეტალი სწორედ აღნიშნული ბავშვები გამოირჩეოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრებით და ამავდროულად მაღალი იყო რისკი მათი ემოციური არასტაბილურობის და სკოლაში სიარულის დისკომფორტის. (O'Connor, Dearing, & Collins, 2011)

გარდა ამისა მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ პედაგოგთა პროფესიონალიზმზეც. ამ მხრივ აუცილებელია გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. პროფესიონალიზმზე საუბრისას, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ პედაგოგის

დარგობრივი ცოდნის ხარისხი და ამავდროულად მისი უნარ-ჩვევები, სწავლების მეთოდები. (Waters & Russell, 2014) აღსანიშნავია რომ, როგორც თანამედროვე კვლევები გვიჩვენებენ ამ ორ მოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბავშვისა თუ მოზარდის განათლების ხარისხზე, და რომ ერთ-ერთი მათგანის სრულყოფილად ცოდნა, ავტომატურად არ გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით მართვას. აღნიშნული ფაქტორი კი არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსწავლეებს და შესაბამისად კლასებს შორის განსხვავებული აკადემიური მოსწრებისა. ამასთან ერთად კვლევებმა აჩვენეს, რომ მხოლოდ ტესტური დაავლებების, ამოცანების ამოხსნა და თეორიული ცოდნის მიწოდება ბავშვებისთვის არ არის სასურველი შედეგის მომცემი. ამდენად, შედეგების თანახმად იმისთვის რომ გაუმჯობესდეს ბავშვების კოგნიტური მდგომარეობა, მათი აკადემიური ხარისხი და ახალი ინფორმაციის მიღებისა და ათვისების უნარი, აუცილებელია პედაგოგის ჩართულობის გაზრდა მისი სწავლების უნარ-ჩვევების დახვეწვა და სწავლებისთვის საჭირო გზების შემუშავება. (OECD, 2019)

თუმცა გარდა აკადემიური მხარდაჭერისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პედაგოგების მიერ ბავშვების ემოციური მხარდაჭერა და დაცვა მათი სხვადასხვა სახის დისკრიმინაციისგან. მიკუთვნებულობის განცდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვებისა და მოზარდების სოციალიზაციის პროცესში. განვითარებისთვის საჭირო აღნიშნული ეტაპი დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ემოციურ კავშირებზე, იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე და ამავდროულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების კოგნიტურ განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით სენსიტიურია მიგრანტი ოჯახებისა და მათი შვილების საგანმანათლებლო პროცესის შესწავლისას. კვლევების თანახმად აღმოჩნდა, რომ ევროპის მაშტაბით მოსწავლეების 29%, რომლებსაც ჰყავთ მიგრანტი მშობლები, პედაგოგების მხრიდან განიცდიან უსამართლო მოპყრობას. ამავდროულად, აღნიშნული დამოკიდებულებისგან გამოწვეული ემოციური ფონისა, მათთვის განსაკუთრებით რთული ხდება ენის ათვისება, დამახასიათებელია დაბალი დასწავლის უნარები კითხვაში და სხვა ტიპის საგანმანათლებლო პროცესებში. ამავდროულად, აღნიშნული პროცესი გავლენას ახდენს მათ ემოციურ მდგომარეობაზეც და ხასიათდება, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მათი ბულინგის მსხვერპლობისა. აღსანიშნავია, რომ

ევროპის 10-დან 6 ქვეყანაში ის ბავშვები, რომლებიც არიან ევროპაში დაბადებულნი, მაგრამ ჰყავთ მიგრანტი მშობლები, ყველაზე მეტად არიან ბუღინგის მსხვერპლნი. (OECD, 2018)

ამასთანავე, მნიშვნელოვანია სოციალური გარემო და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები. მაგალითად სიღარიბე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე და მათი განათლების ხარისხზე. მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემებით 250 მილიონი 5 წლამდე ასაკის ბავშვს აქვს ჩამორჩენა, გამომდინარე იქიდან, რომ მათი კოგნიტური ასაკი არ შეესაბამება ბიოლოგიურს. აღნიშნული კვლევა ეხება მხოლოდ დაბალი და საშუალო განვითარების მქონე ქვეყნებს, რადგან მოცემულ ქვეყნებში არის სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი. მსგავსი ტიპის განვითარების ქვეყნებში სტაბილური შემოსავლის მქონე ოჯახების მხოლოდ 47% აქვს ხელმისაწვდომობა ბავშვის ადრეული განვითარებისთვის საჭირო პროგრამებზე, ხოლო დარბი ოჯახების წილი კი განისაზღვრა 20%-ით. (World bank, 2019)

განათლების მნიშვნელობა პიროვნების განვითარებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ სხვადასხვა თვალსაზრისით, თუმცა ამ შემთხვევაში მინდა ყურადღება გავამახვილო მის როლზე ადამიანის კეთილდღეობაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ იგი ადამიანური კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, და მოიაზრება სწორედ იმ მთავარ მახასიათებლად, რომელსაც გამომდინარე საკუთარი პროდუქტიულობისა, შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამდენად, განათლება ეხმარება არა მხოლოდ პიროვნებას განვითარებაში, არამედ მის პარალელურად იგი უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას. ამ შემთხვევაში კი ცოდნა განიხილება, არა მხოლოდ ემპირიული მასალა, არამედ ადამიანური პროდუქტი, გარკვეული ტიპის კაპიტალი. (Naros & Simionescu, 2019) ამდენად უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განათლება ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი და კვალიფიკაციური შრომითი ბაზრის ჩამოყალიბებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, კარგად გავიაზროთ განათლების როლი დასაქმების პროცესში და რა ზეგავლენას ახდენს იგი ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობაზე. შესაბამისად აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია უკეთესად გავიგოთ განათლების მნიშვნელობა

პიროვნების, ხოლო შემდგომ უკვე საზოგადოების და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. თანამედროვე კვლევები, რომლებიც აჩვენებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის განათლების დონე მის შემდგომ დასაქმების ხარისხზე, ამ ფაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საილუსტრაციო მაგალითია. (World bank, 2018)

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ბოსნია და ჰერცეგოვინას 2016 წლის ეკონომიკის ანგარიში. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში უმუშევრობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა, ამის პარალელურად ქვეყნის მოსახლეობის (პირები, რომლებიც განეკუთვნებოდნენ 15 წლის- და ზევით ასაკობრივ კატეგორიას) მხოლოდ 7.1% ჰქონდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (საშუალო განათლება, სრული საშუალო განათლება, ბაკალავრი, დოქტორანტი). ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული შედეგის მთავარი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ბავშვებისა და მოზარდების უმრავლესობა ადრეულ ასაკშივე წყვეტდნენ სკოლაში სიარულს და შესაბამისად არ იღებდნენ ასაკისთვის შესაბამის განათლებას. (Gačić & Čanković, 2015)

მსოფლიოს მასშტაბით 2.1 მილიონზე მეტ დასაქმებული ადამიანს აქვს პრობლემები კოგნიტურ განვითარებასთან, ამ მხრივ მკვეთრად გამოხატულ პრობლემას წარმოადგენს, აღნიშნული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის დამახასიათებელია კითხვის დაბალი უნარები. სუბსაჰარული აფრიკის დასაქმებული მოსახლეობის 61% პროცენტს აქვს ტექსტის გრამატიკულად და ლექსიკურად გამართულად წაკითხვის დაბალი უნარები, იგივე პრობლემა არსებობს ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის არეალშიც, აქ დასაქმებული მოსახლეობის 44%-მა არ იცის გამართულად კითხვა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ კითხვასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემები გამოწვეულია, იმ ფაქტისგან რომ დასახლებულ ქვეყნებში ბავშვები ადრეულ ასაკში ტოვებენ სკოლებს, ამავდროულად არ არსებობს სახელმწიფოში ისეთი სერვისი, რომლიც ბავშვებს მიაწვდის სკოლის ალტერნატიულ განათლებას. მაგალითისთვის ინდოეთის მოსახლეობის 24%-მა (18-37 წლამდე ასაკის ადამიანები) სკოლაში სწავლა იქამდე შეწყვიტა, სანამ სრულად აითვისებდნენ კითხვასთან დაკავშირებულ ყველა გრამატიკულ თუ ლექსიკურ საკითხს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სკოლის ადრეულ ასაკში მიტოვება არ წარმოადგენს განათლების დაბალი დონის მაჩვენებლის მიზეზს, აღნიშნული პრობლემა შეიძლება

გამოწვეული იყოს სკოლის მოსწავლეებისთვის არამიზნობრივი საგანმანათლებლო სისტემით სწავლებით. მაგალითისთვის ბოლივიას, განას და კენიის 19-20 წლამდე ასაკის მოსახლობის 40%-ს, რომელსაც აქვს საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი, არ აქვს ზოგადი განათლების საბაზისო დონეც კი. აღნიშნული მონაცემები წამოადგენს განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების ვიზუალურ ილუსტრაციას. მსოფლიო ბანკის ექსპერტების აზრით, ის რომ საშუალო განათლება არ გვაძლევს საბაზისო განათლების შესაფერის ცოდნას, და რომ მსოფლიო მოსახლეობის დიდმა პროცენტმა არ იცის გამართულად კითხვა, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას მოსახლეობის განვითარებისთვისა და მათი დასაქმების კუთხით. (World bank, 2019)

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 260 მილიონი ადამიანი 15-დან 24 წლამდე ასაკის არ დადის სკოლაში და შესაბამისად მოიზრებიან, როგორც პოტენციური უმუშევრები. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, რომლებიც ადასტურებენ, რომ გამომდინარე ახალგაზრდების განათლების არადამაკმაყოფილებელი დონისა, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შეინარჩუნოს შუა-ზრდასრულობის პერიოდის მიღწეული ადამიანები, მოახდინონ მათი პროფესიული ზრდისა და უნარების გაძლიერება, ვიდრე დაასაქმონ ახალგაზრდები და ამით მოახდინონ საკუთარი ბიზნესის ეკონომიკური ზრდისა თუ სტაბილურობის დისბალანსი. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია ასევე იმ ქვეყნებზეც, სადაც ახალგაზრდები წარმოადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და შესაბამისად არიან ძირითადი პრეტენდენტები დასაქმების. მოცემული ანგარიშის მიხედვით დასტურდება, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყნების ეკონომიკა ბაზარზე მუშაობს დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით და შესაბამისად ეკონომიკის განვითარება ხდება დაბალპროდუქტიული და ნაკლებადშემოსავლიანი საქმიანობით. შესაბამისად მსოფლიო ბანკის ეკონომიკური დასკვნების მიხედვით, იმისთვის, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა მოახდინონ ახალგაზრდებში და მოზარდებში განათლების დონის ცვლილება პოზიტიური მიმართულებით, საჭიროა მოახდინონ წელიწადში 5 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია. (World bank, 2019)

ამდენად განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ადამიანის, როგორც კოგნიტურ-ემოციური განვითარებისთვის ასევე, მოისაზრება, როგორც მისი სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარების ხელშეწყობა ასაკის შესაბამისი განათლების მიწოდებით, რადგან სწორედ აღნიშნული პროცესი აყალიბებს პიროვნების იდენტობას და მისი უწყვეტი განვითარების სურვილს. (Greenberg, Domitrovich & Weissberg, 2017) ამასთანავე, განათლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც ეხმარება პიროვნებას საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე კონვენცია, რომელიც პიროვნების უპირატეს უფლებათა შორის აღიარებს განათლების უფლებას, მაგალითისთვის: „განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია“, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“, „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, „გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია“. აღნიშნული კონვენციების მიხედვით, განათლება, ეს არ არის სახელმწიფოს მიერ გაცემული რაიმე სახის პრივილეგია, ან ბენეფიტი, რომელსაც იგი გასცემს საკუთარი მოქალაქეების მიმართ, არამედ წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომლითაც უნდა ისარგებლოს ყველა მოქალაქე ყველანაირი დისკრიმინაციისა და შეზღუდვების გარეშე. საგულისხმოა ის ასპექტიც, რომ განათლება მოიზრება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ადამიანის სხვა უფლებების განსახორციელებლად. შესაბამისად, მას გააჩნია როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული და სოციალური დატვირთვა, რაც გამოიხატება იმ ფაქტში, რომ მას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აქვს ადამიანის განვითარებაში.

აღნიშნული თეზისები ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც, რომლის მიხედვით სავალდებულო სასკოლო განათლება დაცულია შემდეგი იურიდიული სანქციებით: უპირველეს ყოვლისა უმნიშვნელოვანესია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და ის უფლებები და მოვალეობები, რომლებსაც სახელმწიფო მშობლებს აკისრებთ შვილების მიმართ. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამასთანავე „მშობლები

უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1198). ამასთანავე, აღნიშნული კოდექსის მიხედვით: „მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1199). ამავდროულად, მნიშვნელოვანია კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ამ უკანასკნელის საშუალებით ქვეყანაში უზრუნველყოფილია და სავალდებულო ნორმად არის დასახელებული სასკოლო ცხრა წლიანი განათლება. ამავდროულად, გათვალისწინებულია იურიდიული სანქციები იმ მშობლებისთვის, რომლებიც ბავშვებს უზღუდავენ აღნიშნულ უფლებას. კანონში ვკითხულობთ, რომ ის მშობლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შვილის აღნიშნულ ცხრა წლიან განათლებას, სახელმწიფოსგან დაჯარიმდებიან 300 ლარით, როგორც პირები, რომლებიც უგულებელყოფენ ბავშვის ძირითად საჭიროებებს და არ ითვალისწინებენ მის საუკეთესო ინტერესებს. (კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005)

აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტები იძლევა საფუძველს სახელმწიფოს მხრიდან განათლების უფლების დაცვისა, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია უფლების რეალიზებისთვის. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო ბაზისა, საქართველოში ბავშვები ვერ სარგებლობენ სრულად განათლების უფლებით. აღნიშნულ შეხედულებას არგუმენტირებულად ამყარებს 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, სადაც მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ განათლების საბაზისო-სავალდებულო ეტაპზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97%-ია , 15-დან 18 წლამდე ასაკის, ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი აღარ იღებს განათლებას. ღარიბი ოჯახების ბავშვები უფრო იშვიათად იღებენ სკოლამდელ ან დაწყებით განათლებას. უღარიბესი მოსახლეობის 15-18 წლის ბავშვებში სკოლის დასწრების მაჩვენებელი თითქმის 81%-ია. საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა უმეტესობა სავალდებულო სასკოლო განათლების ასაკისაა (14 წლამდე), მაგრამ მიუხედავად ამისა, სკოლებში არ ირიცხებიან. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, 12 წლამდე ბავშვების მხოლოდ 20% და საშუალო ასაკის ბავშვების (12 წლამდე ზემოთ)

მხოლოდ 10% არის სასწავლო დაწესებულებებში რეგისტრირებული. ამავდროულად, რთული მდგომარეობაა ღარიბ ოჯახებთან მიმართებაშიც, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით, UNICEF-ის 2017 წლის „საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზის“ მიხედვით, ყველაზე ღარიბი ოჯახების ყოველი ათი ბავშვიდან ექვსს, ხელი არ მიუწვდება (ზოგიერთ შემთხვევაში საკმარისად არ მიუწვდება) საბავშვო წიგნებზე. ამდენად, მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად და გამოწვევად. (UNICEF, 2017)

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია მიუსაფარი ბავშვებთან მიმართებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, განსაკუთრებით დაუცველნი არიან იმ რისკების წინაშე, რომელიც მოიცავს როგორც ბიოლოგიურ, ისე ფსიქო-სოციალურ საკითხებს. გამომდინარე იმ სოციალური გარემოსი, სადაც მათ უწევთ დროის დიდი ნაწილის გატარება, თავს იჩენს მნიშვნელოვანი პრობლემები მათთვის განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ამრიგად პრობლემები, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინონ ბავშვის ბიოლოგიური განვითარების პროცესში, მისი ემოციური დისფუნქცია და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ნეგატიური ასპექტები განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას ახდენს მიუსაფარი ბავშვების განათლების მიღების პროცესზე. შედეგად კი აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვების განვითარების ხარისხს. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში აღნიშნულ წელს 37 მიუსაფარი ბავშვი დაბრუნდა სკოლაში, თუმცა გამომდინარე საკითხის სირთულისა და აქტუალურობისა აღნიშნული ციფრი არ შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მიღწევად. (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018)

ამავდროულად, საკანონმდებლო ბაზის განხილვის შემდეგ, რომელიც ფაქტობრივად არის მთავარი გარანტი, განათლების ხელმისაწვდომობისა, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ სახელმწიფო პროგრამებზე, რომლებსაც სისტემა სთავაზობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, რათა მოხდეს აღნიშნული უფლების რეალიზება. ამ მხრივ ქართულ რეალობაში არსებობს მხოლოდ 2015 წელს

დაწყებული პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“, რომლის მიზანიც იყო განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა. მის ფარგლებში მოქმედებს ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მუშაობს როგორც ბავშვების ემოციური და ფსიქოლოგიური დისფუნქციების რეგულირებაზე ასევე კოგნიტური უნარების გაუმჯობესებაზე. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბავშვების განათლების სისტემაში ჩართვა-რეინტეგრაცია. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არ გვაქვს დაგროვილი და მრავალწლიანი გამოცდილება მიუსაფარი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციის კუთხით, ეს საკითხი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ქვეყანაში და მოითხოვს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

თუმცა, გარდა საკანონმდებლო ბაზისა და პროგრამებისა, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს განათლების უფლების რეალიზების მიზნით, აუცილებელია ვექტორები მივმართოთ დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების როლზე, რაც გულისხმობს მათი მხრიდან აქტიურ ჩართულობის მნიშვნელობას მიუსაფარი ბავშვების გაძლიერების პროცესში. (Underwood, 2016) აღნიშნული ასპექტები გაწერილია „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებში“, სადაც ვკითხულობთ რომ დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები, როგორც მომსახურების მიმწოდებლები, ვალდებულნი არიან შექმნან სათანადო გარემო და შესაძლებლობები მიუსაფარი ბავშვებისთვის განათლების მისაღებად, რადგან ეს უკანასკნელი შესაძლებლობას აძლევთ მათ განივითარონ და შეიძინონ ახალი უნარები, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელ ცხოვრებაში. ზრუნვის სტანდარტების მიხედვით აღნიშნული დაწესებულებები ვალდებულნი არიან ჩართონ ბავშვები საგანმანათლებლო პროცესებში, შეიმუშავინ მათთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა და ხელი შეუწყონ მათი კოგნიტური უნარების განვითარებას. ამავდროულად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობის შემთხვევაში ითანამშრომლონ მომსახურების გამწვევ პირებთან, და გასწიონ მონიტორინგის ინსტრუმენტის როლი ბავშვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში. („ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“, 2014)ამ მიმართულებით საინტერესოა ის გამოცდილება და კვლევები,

რომლის შედეგების მიხედვით კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებენ აღნიშნული ცენტრებისა და მათი პროგრამების საჭიროებაში.

მიუსაფარი ბავშვები, გამომდინარე მათი სოციალური გარემოდან, ხშირად განიხილებიან, როგორც ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის რისკის ქვეშ მყოფი პირები. 2015 წელს ფლორიდის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვთა დღის ცენტრებსა და 24 საათიან თავშესაფრებს აქვთ უმნიშვნელოვანესი როლი როგორც დაავადებათა სკრინინგის, ისე რეფერირებისა და პრევენციის მიმართულებით. კვლევების მიხედვით, სფეროში ინსტიტუციების ჩართულობა, ამცირებს ბავშვებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების განვითარებას. მას შემდეგ, რაც მოხდა დღის ცენტრებისა და თავშესაფრების მხრიდან 50 ბავშვის ჩართვა პირველადი მკურნალობის ეტაპზე, სრულად გამოჯანმრთელდა 5 ბავშვი, ხოლო 17 მათგანი წარმატებით გადის მკურნალობის ეტაპებს. კვლევაში ვკითხულობთ რეკომენდაციებსაც, რომლის მიხედვით ვასკვნით, რომ ამ ტიპის პროგრამები მიმართულია არა მხოლოდ ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დასაცავად, არამედ მათი განვითარებისთვის, რათა მოხდეს მათი საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა და აღნიშნულმა ბარიერებმა არ შეაფერხოს მათი კოგნიტური უნარები. (Lynch & Wood, 2015)

გარდა ამისა, მათი როლი უმნიშვნელოვანესია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების აღმოჩენისა და შემდგომში უკვე მათი საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია 2018 წელს ინდოეთში, კერძოდ კი მუმბაიში, ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, ქვეყანაში მიუსაფარი ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი გოგოებისთვის განათლების ხარისხი მხოლოდ მას შემდეგ გაიზარდა, რაც მოხდა სახელმწიფოს მხრიდან დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების განვითარება. შედეგად გაიზარდა მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიკაციის ხარისხი, ამავდროულად სოციალური მუშაკების ჩართულობის შედეგად მოწესრიგდა მათი დოკუმენტაცია. ამავდროულად, ბავშვები, რომლებიც ჩართულები იყვნენ უკანონო შრომაში, ოფიციალურად აღადგინეს სკოლაში, რათა არ მომხდარიყო მათი აკადემიური ჩამორჩენა. (Dutta, 2018)

ამდენად, განხილული სტრატეგიებისა და სახელმწიფო დოკუმენტების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეალურად სახელმწიფოში არ არსებობს სტრატეგია და კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ხელს შეუწყობენ და განავითარებენ დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების განვითარებასა თუ გაძლიერებას ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ გაიაზროს, რომ მიუსაფარი ბავშვებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობებზე უარის თქმა და მათი განვითარებისთვის საჭირო პროექტების განუხორციელებლობა, საზიანოა მისი კეთილდღეობის პოლიტიკისთვის.

II თავი. მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზანი და ამოცანები

აღნიშნული კვლევის მიზანია განსაზღვროს ის გამოწვევები, რომელსაც დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები მიუსაფარ ბავშვებთან საგანმანათლებლო მუშაობისას ხვდებიან.

კვლევის ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით

1. ბავშვების ბიო-ფსიქო სოციალური განვითარების თავისებურებები და მათი გავლენა განათლების მიღების პროცესზე.
2. დღის ცენტრებისა და თავშესაფრების შესაძლებლობებისა და საქმიანობის ანალიზი.
3. სახელმწიფოს მიერ, მიუსაფარ ბავშვთა მიმართ გატერებული პოლიტიკის ანალიზი.

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა განხორციელდა ორი მიმართულებით: პირველი ეს არის სამაგიდე კვლევის საშუალებით. ამ მიმართულებით გაანალიზებული და შესწავლილია საკვლევი თემისთვის შესაფერისი და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, სამეცნიერო კვლევები და ადგილობრივი კანონმდებლობა. ინფორმაციის მოპოვების მიზნით მოვახდინეთ მეორადი მონაცემების ანალიზი, გამოვიყენეთ ინტერნეტში არსებული და მოძიებული მასალები, სამეცნიერო ბაზებში არსებული პუბლიკაციები და სამეცნიერო სტატიები. ამავდროულად შევისწავლეთ საკითხთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო აქტები და მთავრობის ანგარიშები და დადგენილებები. მეორეს მხრივ გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი: სამიზნე ჯგუფებთან ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები.

კვლევის თემატიკა მოიაზრებდა სასკოლო ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო პროცესებში ცენტრების ჩართულობას. შესაბამისად კვლევის დროს აქცენტი გავაკეთეთ იმ ბავშვებზე რომელთა ასაკის შეესაბამება სამიზნე ჯგუფს. ამდენად კვლევის სამიზნე

ჯგუფს წარმოადგენდნენ მიუსაფარი ბავშვები,(7 დან 18 წლამდე) დღის ცენტრისა და თავშესაფრის სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სპეციალური პედაგოგები. ამავდროულად სკოლის დირექტორები მასწავლებლები და სფეროში მომუშავე ექსპერტები. დროისა და რესურსების სიმცირიდან გამომდინარე ფოკუსირება მოვახდინეთ მხოლოდ ქ. თბილისში არსებულ დღის ცენტრებზე და 24 საათიან თავშესაფრებზე.

რესპოდენტებთან ინტერვიუს დაგეგმვა მოხდა დროის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. უშუალოდ ინტერვიუს დაწყებამდე მონაწილეებს გავაცანიტ კვლევის საგანი, მიზნები და ამოცანები. ამავდროულად მონაწილე პირებს განვუმარტეთ, რომ კვლევა არის ანონიმური და დაცული იქნება კონფიდენციალურობის პრინციპი, რომ მონაცემთა ანალიზის დროს ანგარიშში მათი შეხედულებები, დასკვნები და მოსაზრებები ასახული იქნებოდა ავტორის იდენტიფიკაციის გარეშე, ანონიმურობის ყველა მახასიათებლის დაცვით. რესპოდენტების კვლევის პროცესში ჩართვა მოხდა მხოლოდ ინფორმირებული ვერბალური თანხმობის მიღების შემდეგ.

სულ ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუს, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 45-50 წუთს. ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 3 სოციალური მუშაკმა, გამოიკითხა 3 ფსიქოლოგი და 3 სპეციალური პედაგოგი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო რესპოდენტების სახით 3-მა სკოლის დურექტორმა და 3-მა პედაგოგმა. ასევე სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 3 სფროს ექსპერტთან.

მიუსაფარი ბავშვებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15 ბენეფიციარმა, მათ კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 7 დან 18 წლამდე ასაკია ბავშვებმა და მოზარდებმა. მათ შორის იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები 9 გოგო და 6 ბიჭი.

კვლევის შეზღუდვად მოიაზრება ის გარემოება რომ შესწავლილია მხოლოდ ქ.თბილისში არსებული დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები, შესაბამისად რესპოდენტებად მოაზრებოდნენ მხოლოდ თბილისში მცხოვრები მიუსაფარი ბავშვები. გამომდინარე იქიდან რომ კვლევა წარმოადგენს სამაგსტრო ნაშრომს, დროისა და

შესაბამისი ფინანსების სიმცირის გამო, იგი ვერ ასახაავდა საქართველოს მაშტაბით არსებულ მდგომარეობას.

კვლევის შედეგების ანალიზი

სიღრმისეული ინტერვიუს შესწავლისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

ოჯახში ძალადობის გავლენა:

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია ის ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები რომლებზეც დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ამახვილებენ ყურადღებას. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბავშვის განათლების პროცესში ჩართვამდე, მათ უწევთ ძალიან რთული და მწვავე ხასიათის ემოციურ პრობლემებთან გამკლავება, რომელთა დაძლევის გარეშე ბავშვები, ვერ შეძლებენ კოგნიტური უნარების განვითარებას და სრულად ჩართვას სასწავლო პროცესებში. ამ მიმართულებით ისინი გამოყოფენ იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, რომელთა მსხვერპლნიც იყვნენ ბავშვები, ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრების პერიოდში. ფსიქოლოგების დაკვირვებით, სწორედ აღნიშნული ძალადობრივი წარსული არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ბავშვების მნიშვნელოვანი აკადემიური და სოციალური უნარების ჩამორჩენისა.

„ზოგადად ბავშვებს აქვთ ფსიქო-ემოციური განვითარების პრობლემები უპირველეს ყოვლისა, შემდეგ ქცევითი პრობლემები, რომლებიც თავისთავად იწვევს, კოგნიტური უნარების შესუსტებას. აქ მნიშვნელოვანია ოჯახის როლი, ისინი იმდენად უგულვებელყოფილნი არიან, არ აქვთ განვითარებისთვის შესაფერისი, გარემო, უმრავლესობა არის ოჯახში ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლნი“. (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგი)

„ყველაფერი არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული, როდესაც მე ვარ ძალადობის მსხვერპლი ოჯახში, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური უგულვებელყოფილი ვარ მშობლის მიერ ყველა ჩემი განვითარებისთვის მნიშვნელოვან ასპექტში, მამულისინგებენ , აუცილებელია განათლების მიწოდებამდე სრული რეაბილიტაციის კურსის გავლა, რათა ემოციური სტაბილურობის მიღწევის პარალელურად შევძლოთ ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარება და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგი)

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მიუსაფარი ბავშვები, რომლებიც ძირითად შემთხვევაში ქუჩაში მოხვდნენ ოჯახის მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების გამო, ხშირ შემთხვევაში არ არიან მხოლოდ სოციალური ინკლუზიის მსხვერპლი. ჰაიტში ჩატარებული კვლევების მიხედვით ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უმრავლესობა არის ოჯახში ფიზიკური, ფსიქიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ სერიოზული სოციალური საკითხების მიღმა იმალება ბავშვების მძიმე, კომპლექსური და მრავლობითი სახის ემოციური აშლილობები. იმ ბავშვისა და მოზარდების 40%-ზე მეტს რომლებიც ოჯახში იყვნენ ძალადობის მსხვერპლი აღენიშნებოდათ მძიმე პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. ოჯახში ძალადობით გამოწვეული სტრესული აშლილობები გავლენას ახდენს ბავშვების თვითშეფასებაზე, მათი იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ასუსტებს და აფერხებს მათ კოგნიტურ განვითარებას, ბავშვებს უყალიბდებათ გაუცხოება სოციალურ გარემოსთან მიმართებაში და უჭირთ გარემოში რეინტეგრაცია. (Cénata, Derivoisb & Héberta, 2018)

ნივთიერებებზე დამოკიდებულება:

ფსიქოლოგები და სპეციალური პედაგოგები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ბავშვების ნივთიერებებზე დამოკიდებულებასა და მათი უარყოფითი შედეგების როლზე, როგორც ემოციური სტაბილურობის ისე კოგნიტური შესაძლებლობების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ისინი გამოყოფენ მოხმარების სიხშირისა და დამოკიდებულების ხანგრძლივობის გავლენას, ბავშვების საგანმანათლებლო და სოციალური უნარების შესუსტებაში.

„ბავშვისა და მოზარდების თითქმის უმრავლესობას აქვს მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემა, ადრე იყო ეს წებო ახლა შეიცვალა და გაზი გახდა აქტუალური და ეს მუდმივად იცვლება. მაგრამ არ იცვლება შედეგები, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შედეგად პრობლემები ექმნებათ მეხსიერებასთან დაკავშირებით, ეფანტებათ ყურადღება, გაღიზიანებადობის მომატება აისახება ქცევაზეც და ემოციების გამოხატვის ფორმებზე“ (დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგი)

„იმდენად შესამჩნევია ნივთიერებების უარყოფითი გავლენა მათ განვითარებაზე, როგორც ემოციებისა და ბრაზის მართვის მიმართულებით, ასევე გონებრივი შესაძლებლობების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას აქვს დამოკიდებულების ხანგრძლივი გამოცდილება, სუსტდება მისი შემეცნებითი უნარები, ინტერესი სწავლის მიმართ, ყურადღების დეფიციტი და გაფანტული აზროვნება, სუსტდება მათი უნარი სხვადასხვა საკითხების დამახსოვრების მხრივ“ (დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგი)

„მიუხედავად იმისა რომ მათ ხშირად უტარდებათ ტრენინგი და ინფორმაციული შეხვედრები ნივთიერებებზე დამოკიდებულების უარყოფით შედეგებზე, ისინი ვერ იაზრებენ ამ საფრთხეებს. ამის მიზეზია გარემო და სოციალური წრე, სადაც ეს ნორმაა. რაღაც რომ დავძლიო ხომ საჭიროა ჯერ ამის რისკები და საჭიროებები დავინახო.“ (დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრის სპეციალური პედაგოგი)

სოციალური მუშაკები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებენ სრულიან განსხვავებულ საკითხებზე. ისინი იხსენებენ იმ მნიშვნელოვან პრობლემებს რომლებიც ბავშვებს ექმნებათ გარემოსთან რეინტეგრაციის პროცესში. ამ შემთხვევაში ისინი ძირითად აქცენტს აკეთებენ სასწავლო პროცესში ჩართვის შემდეგ, გამოვლენინ პრობლემებზე, რომელსაც იწვევს ბავშვის ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

„გვექონია შემთხვევა როდესაც მასწავლებელს ჩვენი ბავშვი საგაკვეთილო პროცესში აღმოუჩენია, ზემოქმედების ქვეშ, ხშირად სკოლის საპირფარეოში გამოუჭერიათ თამბაქოს მოხმარების დროს. აღნიშნული შემთხვევები ძალიან გვირთულებს სკოლასთან თანამშრომლობის და ინტეგრაციის პროცესს.“

ემოციური და ქცევითი დისფუნქციები ბავშვებში

ფსიქოლოგები და სპეციალური პედაგოგები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ, ემოციურ და ქცევით დისფუნქციაზე ბავშვებში. დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრის წარმომადგენლების განცხადებით, მათთვის ბავშვების გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხი რჩება მთავრ გამოწვევად. როგორც მათი აბსოლიტური უმრავლესობა აცხადებს წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ

მოხდება ბავშვის ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა ვერც ცენტრის ფარგლებში და ვერც შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

„ყურადღების დეფიციტი, ჩემთვის აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი გამოწვევაა, ემოციური დისფუნქციების გამო მუდმივად მიწევს კომპრომისებზე წასვლა. ხშირად ამის გამო ბავშვთან მუშაობა მხოლოდ 5 წუთით შემოიფარგლება, რა თქმა უნდა პერიოდულად ხდება აღნიშნული დროის ხანგრძლივობის გაზრდა, მაგრამ ისინი მუდმივად შენი ცდის პროცესში არიან, რამდენად დაემორჩილები მათ მოთხოვნებს, როგორ რეაგირებ ტანტრუმებზე და ამ დაკვრების შემდეგ გამოაქვთ დასკვნები, თუ როგორ მოიქცნენ შენთან“ (დღის ცენტრის და 24 საათიანი თავშესაფრის სპეციალური-პედაგოგი)

„გამომდინარე მათი რთული ქცევებისა და ემოციური არასტაბილურობისა, ხშირად ძალიან რთულია მათი რომელიმე საკითხით, ამ შემთხვევაში მაგალითად მეცადინეობით და სწავლით დაინტერესება. ჩვევაში იმდენად არ აქვთ რომ იყვნენ სტაბილურები, რომ ამას უკვე ვეღარ ახერხებენ, მითუმეტეს როდესაც საუბარია არა 7-8 წლის ბავშვებზე არამედ 15-16 წლის მოზარდებზე. ვერ ვიტყვი, რომ არ უნდათ მაგალითად კოლეჯში სიარული, ხეზე კვეთაზე, გაკვეთილების მომზადება სკოლისთვის, ზოგირთს ეს სიამოვნებასაც ანიჭებს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც გამოსდით, მაგრამ ის რომ ამას შრომა სჭირდება და მალევე არ დგება სასურველი შედეგი, ემოციურად არასტაბილურს ხდით, კარგავენ ინტერესს და მალევე ანებებენ თავს.“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის ფსიქოლოგი)

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ხშირად თვეების განმავლობაში უწევთ, ბავშვებთან ემოციების ამოცნობაზე მუშაობა, ქცევისა და ბრაზის მართვაზე კონკრეტული მიმართულებებით მუშაობა. ბუნებრივია მნიშვნელოვანია მათი ჩართვა კოგნიტური განვითარების პროცესებში, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ აღნიშნული არასტაბილური მდგომარეობის გამო შედეგი საკმაოდ გვიან და მინიმალური დონით შემოიფარგლება.

„აქ ბავშვებს, არ აქვს მნიშვნელობა მათ ბიოლოგიურ ასაკს, ფაქტობრივად თავიდან უნდა ასწავლო სოციალური ფუნქციონირება, ამას როლური თამაშების გარეშე ვერაფრით ვერ

შევძლებთ. აი მარტივი რუტინა, რომ ავიღოთ, წარმოვიდგინოთ ბავშვი, რომელსაც გადაბმულად 4 დღე ისე შეიძლება გასულიყო, რომ ხელი არ დაეხანა აი აქედან ვიწყებთ მუშაობას ხელების დაბანის სწავლებიდან ვაჩვენებთ და ხელახლა ვუჩვენებთ სტაბილურობის განცდის შეგრძნებას. შემდეგ რა თქმა უნდა ცვლადები და უნარების გაუმჯობესების ხარისხი იცვლება“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის ფსიქოლოგი)

„დავიწყებთ იმით, რომ ზრუნვის სისტემაში არ ხვდება ბავშვი, რომელსაც არ აქვს მიჯაჭვულობის პრობლემა ეს არის აპრიორი, და გამორიცხულია მისი უარყოფითი შედეგების უკუგდება. სწორედ აქედან მოდის მათი იდენტობის პრობლემა, ვინ ვარ მე, მაქვს თუ არა საერთოდ ფასეულობები. ხშირ შემთხვევაში გვაქვს რეაქტიული დარღვევები, რომლის დროსაც ბავშვები და მოზარდები ვერ ახერხებენ გენერალიზებას საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების. სწორედ აქედან იწყება მათი ნებელობის შესუსტება და გრძელვადიან მოქმედებებში ჩართვის სურვილის გაქრობა.“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის ფსიქოლოგი)

ქუჩაში არსებული გარემო და დაბრუნების რისკი

ფსიქოლოგებთან ინტერვიუს ჩატარებისას გამოიკვეთა, ქუჩაში არსებული გარემოს გავლენა მიუსაფარი ბავშვების განვითარების პროცესზე. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ქუჩაში ბავშვები ხშირად ხდებიან ემოციური, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი, რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკურ და კოგნიტურ განვითარებაზე.

„ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება აუცილებელია აქაც დავინახოთ რისკები თუ საიდან მოდის ფესვები, მათი ქცევითი სირთულეების, კოგნიტური უნარების დეფიციტის, ემოციური არასტაბილურობის. ქუჩაში მათ უწევთ თვითგადარჩენისთვის ბრძოლა, ამიტომ მე უნდა მქონდეს რთული ქცევა, პრინციპში, სხვაგვარად, კონსტრუქციულად, დიპლომატიური ქცევით ქუჩაში ვერ გადავრჩები“

„ისინი ქუჩაში საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობენ არასწორი და საშიში მეთოდებით, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ განვითარებას, ამდენად მუშაობის პროცესში ვეხებით უამრავ დისფუნქციას, დელიქვანტურ ქცევას. ქუჩის გარემო

მთლიანად ზღუდავს მათი განათლების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას და მათ სწავლასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს“

სოციალური მუშაკები ყურადღებას ამახვილებენ იმ პრობლემაზე, რომელიც უკავშირდება თავშესაფარისა და ცენტრის პარალელურად ბავშვის ქუჩაში დაბრუნების და მოღვაწეობის პრობლემატურ საკითხებს. აღსანიშნავია, ერთ-ერთი ცენტრის სოციალური მუშაკის მეტად რადიკალური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. ინტერვიუს პროცესში მან აღნიშნა, რომ თუ ბავშვებს არ მიეცემოდათ საშიალვა ცენტრის ტერიტორიის დატოვების ისინი მეტად პოზიტიურ შედეგებს აჩვენებდნენ ყველა მიმართულებით. გასათვალისწინებელია ის ასპექტი, რომ აღნიშნული შეხედულება არ გაქდერებულა არცერთი სხვა რესპოდენტისგან.

„ბავშვის ცენტრში მოხვედრის შემდეგაც ქუჩა წარმოადგენს ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს და შემაფერხებელს მისი განვითარებისთვის ნებისმიერ ასპექტში. ხშირად ყოფილა მომენტები, რომ რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად გავსულვართ მინიმალურ შედეგებამდე, რადგან მათი ყოველდღიური კავშირი ქუჩასთან ამცირებს ჩვენი პოზიტიური შედეგების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ეს ეხება მათ კოგნიტურ განვითარებას და სასკოლო პროცესებში ჩართვას“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

„ცენტრების პოლიტიკიდან გამომდინარე ყოველთვის იქნება ქუჩაში დაბრუნებისა და იქ ყოველდღიური საქმიანობის რისკი, რაც ჩემი აზრით ყოველდღიურად ამცირებს ჩვენი შედეგების რისკებს. ამიტომ ვფიქრობ რომ ჩვენი ღია სისტემა ჩაკეტილი რომ იყოს, ბავშვთა რესოციალიზაციის, მათი განათლებაში ჩართვის პროცესები გაცილებით სწრაფი ტემპით წარიმართებოდა“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

სპეციალური პედაგოგები, იზიარებენ სოციალური მუშაკების შეხედულებას და აღნიშნავენ რომ აღნიშნული საკითხი უფრო მეტად პრობლემატურია იმ ბავშვებთან, რომლებიც სარგებლობენ მხოლოდ დღის ცენტრის მომსახურეობით.

„2 წელი ვმუშაობდით დღის ცენტრის ბავშვთან, ხშირად თვეების განმავლობაში აქტიურად სარგებლობდა ჩვენი მომსახურეობით, ამ დროის მანძილზე ვსწალობდით

ქცევისა და ემოციების მართვას, მარტივ არითმეტიკულ ამოცანებს, ანბანის დამახსოვრებას, საკუთარი სახელისა და გვარის დაწერას, მაგრამ ყოველი მიღწეული შედეგი წყალში იყრებოდა მას შემდეგ, რაც ბავშვი თვეების განმავლობაში ქუჩაში ცხოვრობდა და ჩვენი მომსახურებით აღარ სარგებლობდა“

ქუჩის სიტუაცია და იქ არსებული განვითარებისთვისა და სიცოცხლისთვის საშიში გარემოებები, ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების იდენტობის, მათი სოციალური ფუნქციონირების ჩამოყალიბებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მძიმეა ბავშვების ფსიქო-ემოციური და სოციალური მდგომარეობა და ხასიათდება მრავლობითი დისფუნქციით, ყოველთვის არსებობს რისკები დღის ცენტრებიდან და თავშესაფრებიდან ბავშვის ისევ ქუჩაში დაბრუნების. ამდენად დღის წესრიგში დადგა აღნიშნული რისკების პრევენცია, რაც შემოიფარგლება ცენტრების სერვისების გაუმჯობესებით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პრევენციული სახის პროგრამა მუშაობს ბავშვების მოტივაციის ამაღლებაზე, ეხმარება მათ ცხოვრების დაგეგმვასა და მიზნების ჩამოყალიბებაში. ამისთვის არსებობს სპეციალური ტრენინგ ჯგუფები, რაც მოიცავს დამსაქმებლებთან შეხვედრებსა და მათი შესაძლებლობების მიწოდებას დასაქმების ბაზარზე. ამასთანავე მნიშვნელოვანია 2012 წელს კალიფორნიაში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ დღის ცენტრებსა და 24 საათიან თავშესაფრებში, და სარგებლობენ აღნიშნული პროგრამით არიან უფრო მეტად მოწესრიგებულები სწავლის მხრივ და ამავდროულად 30% ით შემცირდა მათი მხრიდან ცენტრის მოკლე ვადაში მიტოვების რისკი. ამის მთავარ მიზეზად სახელდება ბავშვების ცნობიერების ცვლილება საკუთარ მომავალთან დაკავშირებით. ამავდროულად გამომდინარე იქიდან რომ მცირდება ბავშვის ქუჩასთან კონტაქტის ხარისხი თითქმის ორჯერ მცირეა იმის შანსი, რომ მათ ჩაიდინონ სკოლაში დესტრუქციული ქცევა, აღნიშნებოდეთ ძალადობრივი ქცევა, განსხვავებით იმ ბავშვებისა, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებში.(DeMont 2012)

ოჯახის დამოკიდებულება განათლების მნიშვნელობაზე

სოციალური მუშაკები გამოყოფენ ოჯახის როლს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვის შესახებ. ისინი აღნიშნავენ რომ მშობლების დამოკიდებულებას და

განათლების დონეს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბავშვების შემდგომ განვითარებაზე. გამომდინარე იქიდან რომ ისინი განსაზღვრავენ რამდენად პრიორიტეტულია შვილისთვის ასაკის შესაბამისი განათლების მიღება. ხშირ შემთხვევაში გამომდინარე მშობლების განვითარების დონისა, სოციალური პრობლემებისა და წარსული გამოცდილებისა ბავშვები რჩებიან ასაკის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა.

„ზოგიერთი ბავშვის მშობელი იმდენად დასტრესილია და აქვთ სერიოზული ემოციური და ფსიქიკური დარღვევები, უკვე თავს არიდებს სასკოლო პროცესებში, როგორც ბავშვის ისე საკუთარი თავის ჩართვას, ვიზიტი სკოლაში, შეხვედრა მასწავლებლებთან, ბავშვის დახმარება მეცადინეობის დროს. ძირითადად ფიქრობენ იმ სარგებელზე რასაც ბავშვის ქუჩაში ყოფნა მოუტანთ, რა თქმა უნდა საუბარია მოწყალებით ან წვრილმანი ქურდობით მიღებულ ფულად სარგებელზე“

თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მშობლებს აქვთ სურვილი, რომ ბავშვმა მიიღოს ასაკის შესაბამისი განათლება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება იგი ვერ ახერხებს შვილის სკოლაში მიყვანას. აღნიშნული პოზიცია გაჟღერდა მხოლოდ ერთი ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ. როგორც სოციალური მუშაკი აღნიშნავს ამ დროს მათი ჩართულობით ხდება ბავშვისთვის ყველა საჭირო პროცედურების გავლა და დოკუმენტაციის შეგროვება. ამდენად დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრების წარმომადგენლებს ხშირად უწევთ ბავშვების ხელახალი ან პირველადი ჩარიცხვა სკოლებში.

„ზოგჯერ ისეც ხდება რომ მშობელს სურს ბავშვი მიიყვანოს სკოლაში, მაგრამ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნია, არ იცის როგორ უნდა მიიყვანოს, არ აქვს საშუალებები რომ დაარეგისტრიროს, რა უნდა გააკეთოს საბუთების შესაგროვებლად, არ აქვს ამის გამოცდილება. როდესაც დღის ცენტრით მოსარგებლე ბავშვის მშობელი განეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დავეხმაროთ და ხელი შეუწყოთ აღნიშნულ პროცესებში“. (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

ფსიქოლოგები ყურადღებას ამახვილებენ კულტურულ თავისებურებებზე და მათ დამოკიდებულებაზე, ბავშვის განათლების პროცესებში ჩართვასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში მოჰყავთ ბულგარელი ბოშების, აზერბაიჯანელებისა და აზერბაიჯანელი ქურთების მაგალითი, ყურადღებას ამახვილებენ მათ მთავარ ინტერესებზე და იმ ცხოვრების სტილზე, რომელიც მათ აქვთ არჩეული.

„აზერბაიჯანელი ქურთების შემთხვევაში, იმათთვის განათლებას არ აქვს მნიშვნელობა, ამიტომ ჩვენი ცენტრით მოსარგებლე ბავშვები არ ინტერესდებიან განათლების პროგრამებით და არც არსებული სოციალური სერვისებით. მათთვის მთავარი მოტივაციაა საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რადგან სოწრედ ამ მიზნით გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. ანუ მათთვის განათლების პროცესებში ჩართვა, ბავშვისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს“

მიუსაფარ ბავშვებთან ინტერვიუს პროცესში, კითხვაზე თუ რამდენად ეხმარებიან მშობლები გაკვეთილებს მომზადებაში, უწყობენ თუ არა ხელს მათ სკოლაში სიარულს მივიღეთ საკმაოდ განსხვავებული პასუხები. 6 ბავშვის პასუხი თითქმის იდენტური იყო და აღნიშნავდნენ, რომ მშობლებს უნდათ, რომ სკოლაში იარონ, მაგრამ ზოგჯერ ფინანსების არქონის გამო ვერ დადიან. ბავშვებიდან 3 რომლებიც იყვნენ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ აქ მშობლებს სკოლაში სიარულის გამო არ ჩამოუყვანიათ. ის ბავშვები რომლებიც უკვე კოლეჯში დადიან აღნიშნავდნენ რომ მშობლების აზრს არ ითვალისწინებდნენ და მათთვის სულერთია რას ფიქრობდნენ. მხოლოდ 3 ბავშვი აღნიშნავდა რომ მშობლები უშლიან სკოლაში და ცენტრში სიარულს, მაგრამ ბავშვებმა მიზეზი არ დაასახელეს.

„სანამ მამა კარგად იყო, სკოლაში დავდიოდი, მეხმარებოდა დავალებების დაწერაში, ახლა მამა საწოლიდან ვერ დგება. ამიტომ დედა მეუბნება რომ მე სკოლაში ვეღარ ვივლი, ფული არ გვაქვსო და ასე მამას დაეხმარებო“ (ბენეფიციარი 15 წლის)

დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების არასაკმარისი რესურსები

როგორც დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების თანამშრომლები აცხადებენ, რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს მათთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, მიუსაფარი ბავშვების განათლების პროცესში. აღსანიშნავია

რომ სხვადასხვა ცენტრის სოციალური მუშაკები აქცენტებს აკეთებდნენ სხვადასხვა სახის რესურსების ნაკლებობაზე. ამ მხრივ მხოლოდ ერთი ცენტრის სოციალური მუშაკის მხრიდან დაფიქირდა პრობლემა საგანმანათლებლო აქტივობების სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ცენტრი ვერ ფარავს არაფორმალურ განათლებაში ჩართვისთვის საჭირო ფინანსებს. განსხვავებული პრობლემები და მოთხოვნები ჰქონდა იმ ცენტრის სოციალურ მუშაკს, რომელიც აქცენტს აკეთებდა კადრების რესურსების სიმცირეზე და მათ უპირატესობაზე.

„ხშირად არასაკმარისი ფინანსების გამო, მხოლოდ თავშესაფრის ბავშვები არიან ჩართული ჩვენი ცენტრის აქტივობებში, ეს გარკვეულწილად ქმნის რაღაც ტიპის ბარიერებსა და შეზღუდვებს ბავშვების განვითარების პროცესში. თუმცა იმდენად მცირეა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება რომ მათ მიერ გაღებული თანხები ხშირად იმისთვისაც არ არის საკმარისი რომ ბავშვი ექიმთან კონსულტაციაზე წავიყვანოთ“
(დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

„გამომდინარე ბავშვების კოგნიტური განვითარებისა და მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისა, დღის წესრიგში დავაყენეთ დამატებითი სპეციალური პედაგოგის მუშაობა ცენტრში, რომელიც დაფარავდა იმ ბავშვების მომსახურეობას რომლებიც არ იყვნენ ჩართული ტრანზიტულ პროგრამაში, თუმცა ფინანსურად ვერ მოხდა ამ საკითხის უზრუნველყოფა, რაც სამწუხაროა მაგრამ ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია“
(დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგებისა და სპეციალური პედაგოგების დამოკიდებულებაც, ისინი ძირითადად ყურადღება ამახვილებენ არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას, განავითარებს მათ სოციალურ უნარებს, დაეხმარებათ იდენტობის ჩამოყალიბებაში. ასევე მნიშვნელოვანია სპორტული აქტივობების მოწყობა და ხშირად ჩატარება, რადგან როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების ემოციური ვინტილაციისთვის და ამავედროულად ფიზიკური დატვირთვა და ჯანმრთელობა კარგად მოქმედებს მათი კოგნიტური უნარების განვითარებაზე, რადგან

ეხმარება ბავშვებს გადაწყვეტილებების მიღებაში, დამოუკიდებლად და ჯგუფურად მოქმედებაში, სტრატეგიების შემუშავებაში.

„ძალიან კარგი იქნებოდა რომ ადგილობრივი თვითმართველობა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები უფრო აქტიურად ჩაერთონ ბავშვების განვითარების პროცესში. ბოლო პერიოდში უფრო მეტად დავრწმუნდი რომ მხოლოდ ფსიქოლოგთან თერაპიული საუბრები არ არის საკმარისი მათი განვითარების თავისებურებების დასაძლევად. ბევრ მადგანს ფიზიკური განმუხტვა დატვირთვა ესაჭიროება, თუნდაც იმისთვის რომ განთავისუფლდეს ბრაზისგან და უარყოფითი ემოციებისგან.“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის ფსიქოლოგი)

დღის ცენტრებისთვისა და 24 საათიანი თავსესაფრებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ფინანსურ ასევე საგანმანათლებლო, განმავითარებელი ტიპის აქტივობებისთვის განსაზღვრულ და მოძიებულ რესურსებს. ამის მაგალითია მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტი ბრაზილიაში რომელიც მოქმედებს 1999 წლიდან. მსოფლიო ბანკის სალვადორში არსებულ დღის ცენტრთან ერთად ანხორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს მიუსაფარი ბავშვებისთვის, შექმნა სპეციალური სისტემა, რათა გაეუმჯობესებინათ ბავშვების კოგნიტური უნარები. აღნიშნული პროგრამები მოიცავს სწავლებას ცეკვის, სიმღერებისა და თეატრალური დადგმების დახმარებით. ამავდროულად, ისინი აღმზრდელებთან და სოციალურ მუშაკთან ერთად ხშირად გადიან ბუნებაში, სადაც კითხულობენ წიგნებს, ხატავენ და ეწევიან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. პროგრამა პარალელურად მოიცავს ბავშვებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიებას, რათა ისინი პარალელურად ჩართულები იყვნენ სასკოლო საგანმანათლებლო პროცესებში. ამ პროგრამის დახმარებით, მხოლოდ სალვადორში 60 სკოლა სრულიად არის მორგებული მიუსაფარი ბავშვების საჭიროებებს, ამავდროულად დღის ცენტრისა და მსოფლიო ბანკის მეშვეობით ხდება მათი საქმიანობის მონიტორინგი, რაც ინტერვენციის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. (World bank, 2002) აღსანიშნავია რომ აუცილებელია სახელმწიფომ და პროვაიდერმა ორგანიზაციებმა გაიაზრონ რესურსების საჭიროების და მათზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. მაგალითისთვის მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, 2016 წლიდან დღემდე 4 მილიარდი დოლარი

არის მსოფლიო მასშტაბით გაცემული, ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. პროექტებს ისინი ახორციელებდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით და ასევე აძლიერებდნენ სახელმწიფოში არსებულ პროგრამებს. ამავდროულად, ხელს უწყობენ დღის ცენტრებისა და თავშესაფრების განვითარებას, რადგან მოხდეს უსაფრთხოების ქსელის გაძლიერება ქვეყანაში. (World bank, 2018)

ოჯახის გაძლიერების პროგრამის მნიშვნელობა

დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან საუბრისას გამოიკვეთა მათი საქმიანობისთვის შემაფერხებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უკავშირდება ბავშვების ოჯახების გაძლიერებას.

„რა თქმა უნდა მუშაობის პროცესში, ვმოქმედებთ ბავშვთა ზრუნვის სტანდარტების გათვალისწინებით, მაგრამ ყოველთვის ვიტყვი და აღვნიშნავ იმ ფაქტს რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ოჯახზე ზრუნვის გაძლიერება და მათთან აქტიურად უნდა ვმუშაობდეთ, როგორც ფსიქოლოგები ისე ჩვენ სოციალური მუშაკები, რადგან, თითოეულ ბავშვს ოჯახში ხვდება ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური და ემოციური ფონი, არასტაბილური და არახელსაყრელი გარემო ბავშვებისთვის“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

„ჩვენი მუშაობის ტიპი არის ძირითადად სპონტანური, როდესაც ცენტრში ბავშვის სანახავად მოდის მშობელი. ეს არის ძალიან მინიმალური იმისთვის რომ ჩამოყალიბდეს როგორც აღზრდის დისციპლინა ისე მშობლების უნარები, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი ფსიქო-ემოციური პრობლემების მიგვარებაზე. ჩვენ ვერ ვახერხებთ მშობლის ღირებულებათა სისტემის შეცვლას, ამიტომ ბავშვები ყოველთვის მიდრეკილნი იქნებიან ანტი-სოციალური ქცევისკენ, კრიმინალისკენ და ბუნებრივია ყოველთვის ექნებათ პრობლემა ასაკის შესაბამისი განათლების მიღების“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

ამავდროულად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების დამოკიდებულებაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ისინი აღნიშნავენ რომ ცენტრების მომსახურეობა ვერ ფარავს

ბავშვის ოჯახის გაძლიერებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, რაც ბუნებრივია აისახება მათი მუშაობის ხარისხზე და საბოლოო შედეგზე.

„განათლება ხომ არ არის მარტო რაღაც გარკვეული ტიპის ფორმალურ გარემოში ბავშვის სიარული, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სკოლას ეს არის ბევრი სხვა არაფორმალური ელემენტის ერთობლიობა. სწორედ აქ გვაქვს კონფლიქტი ღირებულებებს შორის ოჯახი, რომელსაც ვერ ვაძლიერებთ, ვერ ვეხმარებით განვითარებაში, ჩვენ ფაქტობრივად ვერ ვმუშაობთ მშობლებთან მათი სოციალური უნარების განვითარებაზე, ვერ ვცვლით მათ დამოკიდებულებას პრობლემების გადაჭრის საშუალებების მიმართ, ვერ ვეხმარებით ძალადობრივი ქცევების დაძლევაში.“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის ფსიქოლოგი)

„ამ შემთხვევაში მახსენდება მუშაობა ბავშვის რთული ქცევებთან მიმართებაში. ზოგადად ფსიქოლოგის მუშაობა, ბავშვის ქცევის შესაცვლელად მიმდინარეობს მშობელთან და არა ბავშვთან. ამ შემთხვევაში ჩვენ ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მოკლებულნი ვართ, შესაბამისად ჩვენ რაც არ უნდა ვეცადოთ რომ ბავშვი იყოს მაღალფუნქციური, განუვითარდეს კოგნიტური უნარები ის პრობლემა რომ ჩვენ ვერ ვმუშაობთ მშობლებთან ხშირად მთლიანად ამოგვიყირავენ ხოლმე შედეგებს“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის ფსიქოლოგი)

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა, აღნიშნული პრობლემა. მათთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა აღნიშნული სერვისის არარსებობის უარყოფით მხარეებზე, განსაკუთრებით ტრანზიტული პროგრამის მუშაობისთვის, რადგან აღნიშნულ პროგრამაში ჩართული ბავშვების უმეტესობა მხოლოდ დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობს.

„ოჯახის გაძლიერების პროგრამის არარსებობის უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით შეიმჩნევა ტრანზიტული პროგრამით მოსარგებლე ბავშვებთან მიმართებაში. ჩვენი სპეციალისტები ვერ ახერხებენ ბავშვებთან აქტიურ მუშაობას იმის გამო, რომ ამ დროს ბავშვი ოჯახის მოთხოვნიდან გამომდინარე ჩართულია მისი განვითარებისთვის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის არაშესაფერის საქმიანობაში. სამწუხაროდ არც ტრანზიტული პროგრამა და არც დღის ცენტრის პროგრამები არ ფარავენ აღნიშნული

ტიპის მომსახურეობას, რის გამოც ბავშვები სრულად ვერ ახერხებენ ასაკის შესაფერის საანმანათლებლო პროგრამებში ჩართვას“ (ექსპერტი)

„გამომდინარე იქიდან რომ მშობლები, ვერ იღებენ რეკომენდაციებს, ინსტრუქციებს მშობლობის უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, ამით ცენტრებისა და თავშესაფრების წარმატებული მუშაობის არეალი იზღუდება. ზოგადად შეფასების დროს ხშირად მივიჩნევთ რომ აქ არ ჩანს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მუშაობა. სწორედ აქ იჩენს მონიტორინგის ინსტრუმენტის არარსებობით გამოწვეული კიდევ ერთი ხარვეზი. 24 საათიან ზრუნვის სისტემაშიც კი ძნელია ოჯახიდან მიღებული ემოციური თუ კოგნიტური დისფუნქციებთან გამკლავება, მაშინ როცა ვერავინ ვერ აკონტროლებს რა ხდება მაშინ როდესაც ბავშვი ცენტრიდან გადის და წყდება მენტორინგის პროცესები“.

(ექსპერტი)

თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს საკმაოდ რთულად დასაბალანსირებელი და დასარეგულირებელი შემთხვევაა, რადგან დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფინანსურ სახსრებთან და სახელმწიფოს გამართულ კეთილდღეობის პოლიტიკასთან.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრებ აქტიურად მიმართავენ ოჯახის გაძლიერების პროგრამას. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებულია სოციალური მუშაკის როლზე და ინდივიდუალური მენტორების საჭიროებაზე, რომლებიც იმუშავენ როგორც ბავშვებთან ასევე მათ მშობლებთან. გამომდინარე იქიდან რომ, აღნიშნული დაწესებულებების უპირატესობად ითვლება არა მხოლოდ ბავშვის გაძლიერება, არამედ ის მხარდამჭერი ღონისძიებები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ბავშვის ოჯახთან და მის სოციალურ გარემოსთან, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე. აღნიშნული პროგრამები შემდგომში გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვის ფსიქო-ემოციურ სტაბილურობაზე და მისთვის ოჯახში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბავშვისა და სკოლის აკადემიური პერსონალის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. პროგრამების დახმარებით იცვლება მშობლების ცნობიერება მათი მშობლობის უნარები რაც ერთი მხრივ გულისხმობს

მიმღებლობის გაზრდას ბავშვის ქცევითი თუ კოგნიტური დარღვევების მიმართულებით. (Lessing, 2018)

სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები

სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული პროფესიული ტრენინგებისა, მიუსაფარი ბავშვის სკოლაში ჩარიცხვისას ისინი კვლავ ებრძვიან სხვადასხვა სახის ბარიერებს. ამ მხრივ ასახელებენ სხვადასხვა სახის უსაფუძვლო არგუმენტებსა და მოთხოვნებს, რომლებსაც ისმენენ სკოლის დირექტორების მხრიდან.

„როდესაც მიდიხარ ბავშვის ჩასარიცხად სკოლაში, მიმართავ განათლების სამინისტროს, რადგან ხშირად სწავლის შუა პერიოდში გვიწევს ბავშვის ჩარიცხვა სკოლებში, ამ დროს მოძიებულია სამინისტროს მიერ შესაბამისი სკოლა სადაც იცი რომ არის ბავშვის ადგილი, თან გაქვს სარეკომენდაციო წერილი კაბინეტში გხვდება დირექტორი, რომელიც გეუბნება რომ სკოლაში ადგილი არ არის, და ერთი ბავშვისთვის ახალ ჯგუფს ვერ შექმნის. შეიძლება ითქვას რომ ყველა წინააღმდეგია, ეშინიათ ამ ბავშვების და მათთან გამკლავების“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთან გასაუბრების შედეგად, სკოლაში ბავშვის ჩარიცხვასთან დაკავშირებით დასახელდა იგივე სახის პრობლემა. აღსანიშნავია რომ არა მხოლოდ დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავსესაფრების წარმომადგენლებს უჭირთ ბავშვის სკოლაში ჩარიცხვა არამედ ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლებსაც.

„სკოლებთან დაკავშირებით არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა რომ განათლების სამინისტროს მხრიდან მაქსიმალურად გვაქვს ხელშეწყობა, შესაფერისი სკოლის მოძიების პროცესში, ადგილზე მისულ ჩვენს სპეციალისტებს ხვდებათ ბარიერები დირექტორის მხრიდან, რომელსაც არ სურს ბავშვის ჩარიცხვა სკოლაში და ხშირ შემთხვევაში სამინისტროს ხელახალი ჩარევით ვანხორციელებთ ბავშვების

ჩარიცხვას. დამოკიდებულება სკოლის კი აშკარაა, რომ არის ზედაპირული და იძულებითი“ (ექსპერტი)

„მოდი ვთქვათ პირდაპირ, ყველაფერს აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, სკოლა არ არის დღეს მზად იმისთვის რომ ნებისმიერი ტიპის გამოწვევას უპასუხოს. იქიდან გამომდინარე რომ სკოლამ იცის თავისი ხარვეზი, ცდილობენ რომ თავი აარიდონ რთულ შემთხვევებს, ჩვენ შემთხვევაში ეს შემთხვევა არის მიუსაფარი ბავშვის სკოლაში მიღება. მაგრამ ბუნებრივია ჩვენ ამ ტიპით ბავშვების სელექციას ვერ შევუგულებით, რადგან სახელმწიფო ვალდებულია ყველა ბავშვმა მიიღოს განათლება.“

თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ სკოლის დირექტორებმა კითხვაზე თუ რა ბარიერები არსებობს მიუსაფარი ბავშვის სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით, გამცეს სრულიად განსხვავებული პასუხი. მათი პასუხიდან გამოჩნდა რომ ერთადერთი შემაფერხებელი გარემოება რის გამოც მათ შეიძლება უარი თქვან ბავშვის სკოლაში მიღებაზე ეს არის სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების აგრესიულ და არასასურველ დამოკიდებულებაზე მიუსაფარი ბავშვების მიმართ. მხოლოდ ერთმა დირექტორმა აღნიშნა რომ გამომდინარე იქიდან რომ სკოლაში არ არის სპეციალური პედაგოგის ინსტიტუტი და ამ ეტაპისთვის მიუსაფარი ბავშვები ვერ სარგებლობენ პედაგოგის მომსახურებით, ეს ქმნის გარკვეულწილად ბავშვის ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

„სკოლები მზად არიან მიიღონ მიუსაფარი ბავშვები სასკოლო პროცესის ნებისმიერ შუალედში, ამასთან დაკავშირებით არასდროს გვექონია პრობლემა, რადგან განათლების სამინისტრო მშვენივრად მართავს აღნიშნულ პროცესებს. თუმცა მე ვიტყვოდი რომ ამ შემთხვევაში თავად საზოგადოება არ არის მზად აღნიშნული ტიპის ბავშვების სკოლაში მისაღებად. მშობლების მხრიდან ყოველთვის შეიმჩნევა უკმაყოფილო განწყობა, ბავშვები კი აგრესიულად არიან ცენტრის ბავშვების მიმართ განწყობილი. ამიტომ ხშირად ეს ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს სკოლის სტაბილურად მუშაობისთვის“ (სკოლის დირექტორი)

„ჩვენი პედაგოგები, ასევე ჩვენც მუდმივად გავდივართ ტრენინგებს, მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობის პროცესის გასამარტივებლად, ასევე არსებობენ სკოლები

რომლებსაც ჰყავთ სპეციალური პედაგოგი, რაც უფრო ამარტივებს ბავშვის ჩარიცხვასა და მასთან შემდგომი მუშაობის პროცესებს.“ (სკოლის დირექტორი)

დისკრიმინაცია და ბულინგი სკოლაში

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე სახის პრობლემა. უპირველეს ყოვლისა რასაც ერთმნიშვნელოვნად ასახელებენ ექსპერტებიც და დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრების თანამშრომლები, მდგომარეობს შემდეგში: მასწავლებლების არაპროფესიული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ, რომელიც ართულებს ბავშვების საგანამანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის პროცესს და ხშირად ხდება მათი მხრიდან სკოლის მიტოვების მთავარი მოტივაცია. ასევე მიუსაფარი ბავშვები ხშირად არიან ბულინგის მსხვერპლი საკუთარი თანაკლასელების მხრიდან.

„როდესაც სკოლაში მივდივარ ვიზიტზე დამრიგებლებისგან ვისმენ შემდეგი სახის ტექსტებს: ამ ბავშვმა არაფერი არ იცის, როგორ შეიძლება ათასჯერ ავუხსნა და მაინც არ ესმოდეს და ა.შ. ხშირად შთაბეჭდილება მრჩება რომ მათი მიზანია მიუსაფარი ბავშვების მოშორება სკოლიდან“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

„ჩარიცხვის მომენტიდან, მათი პასუხისმგებლობაა რომ დაგვიკავშირდნენ ნებისმიერი სახის დარღვევის და გადაცდომის შემთხვევაში, მაგრამ სწორედ ისეთ მძიმე შემთხვევებში, როდესაც ბავშვები სკოლაში არ დადიან და მუდმივად აცდენენ საგაკვეთილო პროცესებს, არავინ რეაგირებს, რადგან შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის რომ ბავშვი არ მივიდეს სკოლაში.“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

„გამიგონია, როგორ მიმართავენ თანაკლასელები ჩვენს ბავშვებს, ხშირად ეს არის ტერმინი ცენტრის ან თავშესაფრის ბავშვი, არანაირი სახელი ან გვარი მხოლოდ ეს დამახინჯებული ტერმინი. თანაკლასელების მხრიდან მუდმივად არის ბულინგის შემთხვევები, ისეთი შემთხვევებიც ფიქსირდება, რომ რადგან ბავშვი არის სახელმწიფო ზრუნვაში, დაუბრალებიათ ისეთი ტიპის დანაშაული რაც მას არ ჩაუდენია“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

ამდენად სოციალური მუშაკები აცხადებენ, რომ ბავშვებს ხშირ შემთხვევაში აქვთ, ახალ გარემოსთან ადაპტაციის პრობლემები მათი უმეტესობა კი ცენტრში მოხვედრის შემდეგ პირველად ხვდება სკოლაში. ამდენად მასწავლებლებისა და მოსწავლეების აღნიშნული დისკრიმინაციული მიდგომა უარყოფითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე, კარგავენ მოტივაციას და სწავლის სურვილს, რაც ცენტრში ყოფნის პერიოდში განხორცილებული აქტივობების შედეგად გარკვეულ პოზიტიურ დონემდე განუვითარეს.

„ბავშვებს აქვთ იმის უნარები, რომ ისწავლონ აქვთ სურვილი სკოლაში წასვლის. მაქსიმალურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მისი ემოციური და ქცევითი უნარები სკოლაში შესვლამდე. როდესაც სკოლაში მიყვანილი ბავშვი, უარს აცხადებს სწავლაზე იქ არსებული არაკითილგანწყობილი გარემოს გამო, ამ შემთხვევაში აუცილებლად ვუკავშირდებით სკოლას, ვაწყობთ შეხვედრებს დირექტორთან, დამრიგებელთან, მასწავლებელთან ან თანაკლასელთან რომელთანაც ბავშვს ჰქონდა გარკვეული სახის პრობლემები. მაგრამ ამით საკითხი არ გვარდება, მხოლოდ დროებით ვაჩერებთ პროცესებს.“

საინტერესოა თავად მასწავლებლების პოზიცია, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. კითხვაზე თუ რა სახის პრობლემები ექმნებათ მათ მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობის პროცესში, მათი მხრიდან ყურადღება გამახვილდა მხოლოდ კოგნიტურ უნარებზე და ათვისების შესაძლებლობებზე. მხოლოდ ერთმა მათგანმა გაიხსენა დასაწყისში არსებული ქცევითი სირთულეები და თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ კლასში არსებული კეთილგანწყობილი და თბილი გარემო ბავშვებისთვის წარმოადგენს დამატებით მოტივაციას სწავლისთვის.

„რთულია მათთან მუშაობა, რადგან გამუდმებით მოითხოვენ ყურადღებას, გვერდით დაჯდომას და ახსნას, ძირითად შემთხვევებში უჭირთ დამოუკიდებლად მუშაობა“
(სკოლის მასწავლებელი)

„თავდაპირველად ძალიან მიჭირდა მისი კლასში გაჩერება, რომ ვუხსნიდი ვერ ხვდებოდა რატომ ირეკებოდა ზარი და რას ნიშნავდა შესვენება, ერთხელ თამბაქოს მოხმარების დროსაც გამოიჭირა მანდატურმა საპირფარეშოში“ (სკოლის მასწავლებელი)

„ბავშვებს ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ, ეხმარებიან ერთმანეთს სირთულეების დაძლევაში, ხშირად მინახავს შესვენებაზე და სკოლის დასრულების შემდეგაც ერთად, მე არ დამიფიქსირებია ნამდვილად ბულინგის შემთხვევები და რაიმე სახის სტიგმა“ (სკოლის მასწავლებელი)

ექსპერტები აქცენტებს აკეთებენ თავად მასწავლებელთა მომზადებისა და მათი გადამზადებისთვის შემუშავებული ტრენინგების გამოწვევებზე. ტრენინგები ემსახურება მათი ცნობიერების ამღლებას და მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული ტრენინგები ნებაყოფლობითია და არ აქვს სისტემური ხასიათი, ეს გავლენას ახდენს შედეგზეც.

„ტრენინგი, რომელსაც მასწავლებლები გადიან, მოიცავს და გულისხმობს ცნობიერების ამღლებას, რადგან ჩვენი კვლევებიდან გამომდინარე, როგორც აღმოჩნდა ყველაზე დიდი პრობლემა სკოლის მასწავლებლებთან არის სწორი დამოკიდებულებების არ ქონა მოწყვლადი ამ შემთხვევაში მიუსაფარი ბავშვების მიმართ. ეს უკვე დაკავშირებული იყო სტიგმასთან, ბავშვების გარიყვასთან. ამიტომ მუშაობა მიმდინარეობს ადეკვატური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, ცნობიერების ცვლილებაზე“ (სფეროს ექსპერტი)

„ტრენინგების აუცილებლობა გამოიკვეთა იმის გამო, ვერანაირ პროფესიულ უნარ-ჩვევებს მასწავლებელი წარმატებით ვერ გაანხორციელებს და გამოიყენებს თუ მას არ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება და მიმღებლობა ნებისმიერი ტიპისა თუ განვითარების მქონე ბავშვთან. ეს არის ფუნდამენტი ჩვენი მოქმედებისა, თუმცა ის უკეთესად განხორციელდებოდა, თუ იქნებოდა ყველასთვის სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი“ (სფეროს ექსპერტი)

მნიშვნელოვანია თავად მიუსაფარი ბავშვების შეხედულება, კითხვაზე თუ რა არის ძირითადი მიზეზი იმისა რომ ისინი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე და ხშირად აცდენენ საგაკვეთილო პროცესებს. 15 ბავშვიდან 9 დაასახელა

სკოლაში ბულინგის გამოცდილება და პედაგოგებისა და მოსწავლეების მხრიდან დისკრიმინირებული დამოკიდებულება.

„რუსულის მასწავლებელმა ერთხელ კლასში, სოფლელი დამიძახა და შემდეგ ბავშვებთან ერთად დამცინოდა. ბავშვებმა იციან რომ ცენტრში დავდივარ ამის გამო დებილს, განუვითარებელს და თავშესაფრიდან მოსულ სოფლელს მეძახიან“ (ბენეფიციარი 13 წლის)

„სკოლას ხშირად ვაცდენ მხოლოდ იმიტომ მივდივარ რომ ამას ცენტრის მასწავლებლები მთხოვენ, იქ ცუდად გვექცევიან, არავის ვუყვარვართ. აქ ყველა კარგად გვექცევა, მარტივად გვიხსნიან გვასწავლიან არ გვეჩხუბებიან და არ დაგვცინიან“ (ბენეფიციარი 10წლის)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი რელევანტურობა

სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან საუბრისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტორი რაც ხელს უშლის დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების წარმატებულ მუშაობას ბავშვის საგანმანათლებლო პროცესებში. აღნიშნული საკითხი ეხება მიუსაფარი ბავშვების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რელევანტურობას ბავშვის აკადემიურ უნარებთან და შემდგომში უკვე მისი განხორციელების საკითხებს. როგორც ისინი აღნიშნავენ ხშირ შემთხვევაში ბავშვი ვითარდება მხოლოდ ცენტრის ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით, რადგან არსებობს სკოლები, რომლებიც ბავშვს არ უდგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც კანონი ავალდებულებთ. მსგავსი ტიპის ხარვეზები საგანმანათლებლო სისტემაში მკვეთრად აფერხებს ბავშვის ასაკის შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვას.

„მქონდა ასეთი შემთხვევა, მივიყვანეთ ბავშვები 3 და 4 კლასში, მაგრამ სკოლის მხრიდან არანაირი დაინტერესება არ ყოფილა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ შეუდგინეს ბავშვებს. დამრიგებელთან საუბრის შემდეგ, დავადგინეთ რომ მან არ იცოდა რომ ბავშვს ყველა საგანში უნდა ჰქონოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაგრამ ჩვენი მხრიდან თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიწოდების შემდეგაც სიტუაცია არ შეიცვალა. შესაბამისად საკითხი გადავეცით განათლების სამინისტროს, და მხოლოდ მათი ჩარევის შემდეგ, მივაღწიეთ იმას რომ ახლა ბავშვები, მათი განვითარების

შესაბამისი გეგმით სწავლობენ“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

აღნიშნულ საკითხს პრობლემატურად თვლიან სპეციალური პედაგოგებიც, ისინი აღნიშნავენ, რომ ბავშვებთან საჭიროა მუშაობა როგორც სკოლის ასევე დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების სამოქმედო გეგმით. თუმცა სკოლაში განსაკუთრებით კი იქ სადაც არ ფუნქციონირებს სპეციალური პედაგოგის ინსტიტუტი, ბავშვები რჩებიან აღნიშნული გეგმის, თუნდაც შედგენილის მიღმა.

„ძირითად შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩანაწერები თაროზე შემოდებული გვხვდება, მასწავლებლები არ მუშაობენ ბავშვებთან ინდივიდუალურად, და ეს აისახება ბავშვების შედეგებზეც“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სპეციალური პედაგოგი)

მიუსაფარ ბავშვებთან ინტერვიუს პროცესში კითხვაზე თუ რამდენად უადვილდებათ მათ სკოლის პროგრამის დაძლევა, უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ცენტრის სპეციალური პედაგოგის დახმარების გარეშე მასთან გამკლავება უჭირთ, ხოლო დღის ცენტრის ბავშვები აღნიშნავდნენ, რომ მათ ურჩევნიათ ცენტრში მიიღონ განათლება რადგან აქ ყველაფერი მათთვის გასაგებია და კითხვებზეც ყოველთვის პასუხს სცემენ.

“ჩემთან სკოლაში არ მუშაობს სპეციალური პედაგოგი, ვწერ იმ დავალებებს რომელსაც მასწავლებელი ჩემს თანაკლასელებს აძლევს, ამის გამო ცენტრში მოხვედრამე საერთოდ არ მქონდა სწავლის სურვილი, იმიტომ რომ რთული იყო და აზრი არ ჰქონდა ჩემს მეცადინეობას“ (ბენეფიციარი, 15 წლის)

მნიშვნელოვანია აზერბაიჯანელ ქურთებთან, მოლდოველ ბოშებთან და აზერბაიჯანელ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ენობრივი ბარიერები. ბავშვებს ხშირად სწორედ ამ მიზეზის გამო უჭირთ სკოლაში მინიმალური ბარიერის გადალახვა, რის გამოც ხშირად უწევთ კლასებში ჩარჩენა. ამავდროულად დღის ცენტრის სპეციალური პედაგოგებიც და სოციალური მუშაკებიც ამხვილებენ აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას.

„მათთან კომუნიკაცია საკმაოდ გვიჭირს, რადგან ვერ ახერხებენ საგნების სახელდებას ქართულად, ხშირად ვერც რუსულად, ამიტომ მეცადინეობის პროცესი მალევე ბეზრდებათ“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სპეციალური-პედაგოგი)

„რეალურად როგორც სკოლაში ასევე ჩვენთან მათ ძალიან უჭირთ კომუნიკაცია, საუბრობენ მხოლოდ არსებითი სახელებით, რაც აზრის გადმოცემის შესაძლებლობას უკარგავთ, რომ არაფერი ვთქვათ ქართულად წერაზე. სკოლის პედაგოგებისთვის ეს დამატებითი თავსატეხია, ამიტომ ხშირად უბრალოდ კლასში ჩატოვებით აგვარებენ პრობლემებს“.

ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მნიშვნელობა დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების საგანმანათლებლო აქტივობებში

ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები, რომლებსაც მიაღწიეს დღის ცენტრებმა და 24 საათიანმა თავშესაფრებმა ტრანზიტულ პროგრამასთან თანამშრომლობის პროცესში. სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შესწავლა, ფსიქოლოგის მუშაობა ბავშვებთან, სპეციალური პედაგოგის ვიზიტები ცენტრში, ბავშვების არაფორმალურ განათლებაში ჩართვა, მიუსაფარი ბავშვების მომზადება საგანმანათლებლო პროცესში ჩასართველად, ინტეგრირებული აქტივობები რომლებიც იმართება ორივე პროგრამის ჩართულობით. ეს არის ის ძირითადი დადებითი ფაქტორები რომლებიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ცენტრების საგანმანათლებლო აქტივობებისა და ჩართულობის გაძლიერებას.

„ტრანზიტული პროგრამა არ იქნებოდა წარმატებული და ვერ დაფარავდა ძალიან ბევრ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვს, რომ არა დღის ცენტრებისა და თავშესაფრების აქტიური ჩართულობა, რადგან სწორედ ისინი გვაწვდიან იმ ბავშვების მონაცემებს, რომლებისთვისაც აუცილებელია ჩვენი პროგრამით სარგებლობა“ (ექსპერტი)

„ჩვენი სპეციალისტები მუდმივად თანამშრომლობენ დღის ცენტრების და 24 საათიანი თავშესაფრების თანამშრომლებთან, რადგან მოხდეს ყველა სტატუსის მქონე ბავშვის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ასევე პარალელურად ვმუშაობთ ბავშვების კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებაზე“ (ექსპერტი)

ექსპერტების განცხადებით ამ თანამშრომლობითმა პროცესმა დაანახა პროგრამის ხელმძღვანელებს სოციალური მუშაკის აუცილებლობა გუნდში. მათი განცხადებით ისინი აქტიურად აკვირდებოდნენ ცენტრებისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობას და იმ პრობლემატურ საკითხებს, რომელიც ეხებოდა ბავშვის სკოლაში ჩარიცხვასა და შემდგომ მისი სწავლის მონიტორინგს.

„უკანასკნელ პერიოდში პროგრამაში ჩავრთეთ ჩვენი სოციალური მუშაკები, რადგან დავინახეთ ამის საჭიროება დღის ცენტრებისა და თავშესაფრების სკოლასთან თანამშრომლობის გამოცდილებიდან გამომდინარე. მათ ევალუბათ უშუალოდ სკოლებთან თანამშრომლობა, დაეხმარონ სკოლებს და მხარდაჭერა გაუწიონ კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის პროცესში“. (ექსპერტი)

„მათი მთავარი მიზანია ბავშვების რეინტეგრაციის პროცესის სტაბილურად და პოზიტიურად განვითარება, რაც უნდა მოხდეს სკოლებს აქტიური ჩართულობით. მაგრამ ხშირად ისინი მაინც თავს იკავებენ თანამშრომლობაზე. იმ შემთხვევებში როცა სკოლა თანამშრომლობისთვის არის ღია და აქვს მზაობა მაშინ სოციალური მუშაკები ამ რესურსს კარგად იყენებენ და იგეგმება ინტეგრირებული ღონისძიებები ჩვენი ბენეფიციარების მათი თანაკლასელების და ცენტრის ბავშვების ჩართულობით“ (ექსპერტი)

ცენტრის სოციალურ მუშაკებთან ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ასპექტები ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მათი განცხადებით შეინიშნება დადებითი ცვლილებები მუშაობის პროცესში, გაიზარდა ბავშვების დაინტერესებაც მათ მიერ შემოთავაზებული აქტივობების მიმართ, რაც გამოწვეულია ახალი პროგრამით რომელიც მოიცავს ბავშვებისთვის საჭირო და საინტერესო აქტივობებს.

„ჩვენ ცენტრს ყავს ძალიან კარგი სპეციალური პედაგოგი ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის წყალობით, რასაც ვერ ვიტყვოდი წინა წლების შემთხვევაში, ბავშვებმა ძალიან ბევრი რამ ისწაღეს მათ მიერ დაგეგმილი ტრენინგებითა და აქტივობებით. არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები, რომლებსაც ტრანზიტული პროგრამის სპეციალისტები აწყობენ განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ჩვენი ცენტრისთვის, რადგან ხშირად არასაკმარისი ფინანსების გამო ვერ ვახერხებთ ბავშვების ამ საჭიროების უზრუნველყოფას“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

„ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლები, აქტიურად გვხმარებიან ბავშვების სკოლაში ჩარიცხვაში და მაქსიმალურად გვიმარტივებენ ამ პროცესებს. მაგალითად მახსენდება როგორ მუშაობდნენ 1 წლის გამავლობაში ჩვენს ბავშვთან იმისთვის რომ მისთვის დაენახებინათ სკოლაში სიარულის აუცილებლობა და განათლების მიღების საჭიროება, რამაც შედეგი გამოიღო და ახლა ორივე მხარე მაქსიმალურად ვართ ჩართული, რომ ბავშვმა არ მიატოვოს საგანმანათლებლო დაწესებულება“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავსესაფრის სოციალური მუშაკი)

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება და იმ პროგრამების განხილვა, რომელთა მიზანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში. 2017 წელს მალტაში ამოქმედდა პროგრამა, რომელიც განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვებს ეხმარება სასიცოცხლო უნარების შესწავლაში. გარდა ამისა პროგრამა მოიცავს მათემატიკის, კითხვისა და კომპიუტერული პროგრამის სწავლებას. პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლების სინთეზზე, რაც დაეხმარება ბავშვებსა და მოზარდებს საბაზისო განათლებისა და უნარების ჩამოყალიბებაში. ამავდროულად მნიშვნელოვანია პროგრამა 16-18 წლის მოზარდებისთვის, რომელიც შეიმუშავეს ინგლისში. იგი მოიცავს ტრენინგების, ზოგადი განათლების ძირითადი საფეხურებისა და პროფესიული სწავლების კურსებს, რაც დაეხმარება სკოლის მიღმა დარჩენილ მოზარდებს საჭირო უნარ-ჩვევებისა და განათლების გარკვეული დონის დაფარვაში. პროგრამის მთავარი მიზანია, ასაკის შესაბამისი განათლებისა და უნარების ხელმისაწვდომობა ადამიანისთვის, რაც სამომავლოს გაზრდის მათი დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობებს. (Roberts, 2018)

საიდენტიფიკაციო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა

ექსპერტებთან გასაუბრებისას, ყურადღება გამახვილდა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის შემოღების დადებით მხარეებზე. ისინი აღნიშნავენ, რომ არსებულმა კანონმა მკვეთრად გააუმჯობესა ბავშვების სკოლაში ჩარიცხვის

მაჩვენებელი. ამდენად მათი განცხადებით ის ბიუროკრატიული ბარიერები, რომლებიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს ექმნებოდათ სკოლაში ჩარიცხვისთვის, არასაკმარისი დოკუმენტაციის მიზნით, ქვეყანაში უკვე აღარარსებობს.

„იუსტიციის სამინისტროს მიერ მიერ შემოღებულმა დროებითმა საიდენტიფიკაციო მოწმობამ, მოხსნა ყველა ძირითადი ბარიერი დოკუმენტაციებთან, მიმართებაში, ამან ადამიანებს საშუალება მისცა 1 წლის ვადაში შეეგროვებინათ ყველა მნიშვნელოვანი და საჭირო საბუთი მათი იდენტიფიკაციისთვის. გაიზარდა მიუსაფარი ბავშვების ჩარიცხვის მაჩვენებელი სკოლაში, და შესაბამისად უფრო მეტად გამარტივდა არსებული პროცედურები“ (ექსპერტი)

საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ სოციალური მუშაკები ამახვილებენ ყურადღებას ეროვნულ უმცირესობებზე და მათთან დაკავშირებულ პრობლემებთან, რომელიც უკავშირდება აღნიშნული დოკუმენტების მიღებას. პირველ რიგში ისინი ყურადღებას ამახვილებენ მათ დამოკიდებულებაზე. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანელებს, აზერბაიჯანელ ქურთებს, ხშირად თავად არ სურთ დროებითი ან თუ ამის შესაძლებლობაა პირადობის დამადასტურებელი ბარათის აღება, რადგან მათ ინტერესებში არ შედის ბავშვების სკოლაში სწავლა და რაიმე სახის ვალდებულებების აღება სახელმწიფოს მიმართ.

„როდესაც მათ ვუხსნი, რომ დაბადების მოწმობის გარეშე შეუძლიათ აიღონ აიდი ბარათი, რაც საშუალებას მისცემთ ისარგებლონ ჯანდაცვის პროგრამებით, მისცენ ბავშვებს განათლება ისინი მაშინვე კარგავენ კომუნიკაციის სურვილს. ხშირ შემთხვევაში გვეუბნებიან, რომ მათ არ სურთ ამ სერვისებით სარგებლობა, და სულ სხვა მიზნების გამო ჩამოვიდნენ საქართველოში“ (დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის სოციალური მუშაკი)

„პროცედურები ძალიან გამარტივებულია, წინა წლებში გვიჩვენდა წლობით დოკუმენტების შეგროვება, ამის გამო იკარგებოდა დრო ბავშვები დროულად ვერ შეგვყავდა სკოლაში, რაც მოქმედებდა მის განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებზე. თუმცა რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, მათთან დაკავშირებით მცირე შედეგი გვაქვს, განსაკუთრებით დღის ცენტრით

მოსარგებლე ბავშვებთან, ძირითად შემთხვევებში მშობლებს არ სურთ აღნიშნული დოკუმენტების მიღება, რაც გვიკარგავს იმ პოზიტიური შედეგის არსებობას რისი მიღებაც შეგვიძლია ამ შესაძლებლობებით სარგებლობის შემთხვევაში“

აღნიშნული პრობლემა დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებისთვისაც. მაგალითად იტალიაში 2011-2016 წლებში მოხდა დიდი რაოდენობით მიგრანტების შესვლა, სადაც 82% იყო არასრულწლოვანი 16-17 წლის ბიჭები იყვნენ. კანონმდებლობის მიხედვით თავდაპირველად ისინი გადამისამართდებიან მიმღებ ცენტრებში სადაც 10 დღის განმავლობაში, გვარდება მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მიღებული კანონის მიხედვით მიგრანტი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები სკოლაში, მიიღებიან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. იტალიის განათლების სამინისტრო პირველ რიგში ხელს უწყობს მათ იტალიური ენის სწავლებას, რადგან მოიხსნს სკოლაში სწავლასთან დაკავშირებული ბარიერები. (Global education monitoring report, 2019)

სახელმწიფოს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შეფასება

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საკანონმდებლო დონეზე და შესაბამისად არსებული იურიდიული სანქციები ჩვენ არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას რომ ქვეყანაში მკაცრად არის დაცული მიუსაფარ ბავშვთა განათლების უფლება. თუმცა ისინი საუბრობენ ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის დადებით შედეგებზე, რომლებმაც უფრო გაამარტივა ბავშვების სკოლაში ინტეგრაციის და ასაკის შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა.

„თუ იმ კუთხით შევხედავთ, რომ საკანონმდებლო დონეზე რამდენად არის დაცული განათლების უფლება, შემოდის ვთქვა რომ კანონი და მარეგულირებელი დოკუმენტები მათი, განათლების უფლებაზე არ საუბრობენ. მაგრამ ის რომ კონსტიტუცია გვეუბნება, რომ ქვეყანა ვალდებული ქვეყანაში არსებულმა ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს დაწყებითი და საბაზისო განათლება, ასევე ეს ინფორმაცია მეორდება ზოგად განათლების შესახებ კანონში, გვაქვს ბავშვთა უფლებების კონვენცია, შეიძლება ამაზე რაღაც დაზუსტებები არსებობდეს მაგალითად რეგულირებები დოკუმენტებში.“

„ბიუროკრატიული ბარიერების ხელისშემშლელია, მინიმალურ დონეზეა დასული. კანონმდებლობა დღეს უკვე არის ძალიან მოქნილი. ამით იმის თქმა მინდა რომ თუ სკოლის მიღმა არის დარჩენილი ბავშვი ან მოსწავლის სტატუსი არასდროს ჰქონია, რეგულაცია არის შემდგნაირი რომ მისი შეფასება უნდა მოხდეს მულტიდისციპლინური გუნდის მეშვეობით. სწორედ ამის შემდეგ ვადგენთ რეკომენდაციას, რომ ბავშვი ჩაირიცხოს მისი ასაკისთვის შესაფერის კლასში თუ ყველაზე მაქსიმუმ აქვს უფლება სპეციალისტს, რომ თავისი ასაკის ორი წლით ქვემოთ დასვას. ამ რეგულაციით აღმოიფხვრა ის აფსურდული შემთხვევები, როდესაც ბავშვს იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში არასოდეს არ უვლია ამის გამო მაგალითად 10 წლის ბავშვებს პირველ კლასში სვამდნენ. ამ გადაწყვეტილებით პირველ რიგში სახელმწიფომ დააყენა სტანდარტად რომ ბავშვებისთვის ამ შემთხვევაში მიუსაფარი ბავშვებისთვის, სკოლა არ არის მხოლოდ აკადემიური განათლების მიღების ადგილი, არამედ იგი არის ფსიქო-სოციალური განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაში.“(ექსპერტი)

ექსპერტები ასევე განიხილავენ პროგრამას „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“, ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხზე თუ რამდენად ფარავს იგი საქართველოში მცხოვრებ მიუსაფარ ბავშვებს და რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს აღნიშნული პროგრამა. ექსპერტების განცხადებით გამომდინარე საქართველოში მიუსაფარი ბავშვების მზარდი რაოდენობისა აღნიშნული პროგრამა არ არის საკმარისი, იმისთვის რომ მოხდეს ყველა მიუსაფარი ბავშვის საჭიროების უზრუნველყოფა. შესაბამისად ისინი რეკომენდაციის სახით სახელმწიფოს ურჩევენ შეიქმნას დამატებითი პროგრამები განათლების მიღმა დარჩენილი 16 წლის ზემოთ მყოფი მიუსაფარი ბავშვებისთვის.

„ჩვენ ვიცით რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული ბავშვების კატეგორია, რომლებსაც სჭირდებათ განსხვავებული მიდგომა, განსხვავებული ზრუნვა, და ასევე საგანმანათლებლო განსხვავებული პროგრამები ამის ასე ვთქვათ დანახვა და საჭიროების იდენტიფიკაცია ჩვენ განათლების სამინისტრომ მოვახერხეთ მხოლოდ 2013 წლიდან და მხოლოდ მოხდა ერთი პროგრამის ფარგლებში“ (ექსპერტი)

„ყველა ბავშვის მიმართ განათლების უფლება არ არის დაცული და ამის თავის მიზეზი აქვს დღეს არსებობს ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული მიუსაფარ ბავშვების დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები, ჩვენ გავაბით ხიდი თანამშრომლობის სწორედ იმ დღის ცენტრებთან რომლებსაც სახელმწიფო ხედავს. სამწუხაროდ დღეს არიან საქართველოში ის მიუსაფარი ბავშვები რომლებსაც ვერ ხედავენ ეს დღის ცენტრები და მათზე არ ხორციელდება გარკვეული ზრუნვა ნებისმიერი მიმართულებით.“ (ექსპერტი)

„დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები, ისევე როგორც ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა არის დამხმარე სერვისები და არა ალტერნატიული ზრუნვის ინსტიტუტები. ამიტომ ის მიუსაფარი ბავშვები რომლებიც არიან სკოლის მიღმა დარჩენილები 16 წლის ზემოთ ანუ სავალდებულო ასაკის ზემოთ ბავშვებისთვის რეკომენდაციების სახით მუდმივად ვაწვდით სახელმწიფოს რომ ვითხოვთ ალტერნატიული სერვისების გაკეთებას. ეს შეეხებათ მხოლოდ სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვებს. და რატომ მაინცდამაინც ალტერნატიული სერვისი, გამომდინარე იქიდან რომ იგი არის უკვე ის სერვისი რომელიც ინტეგრაციაზე აღარ ფიქრობს, ეს ფიქრობს რომ საბაზო საფეხური რაც არის სავალდებულო სასკოლო განათლების კომპეტენციები დაჩქარებულად ე.წ მქაჩავი პროგრამებით დაფაროს, იმისთვის რომ ბავშვები პროფესიაში შევიდნენ.“ (ექსპერტი)

„16 წლის ზემოთ სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის შექმნილი ალტერნატიული ზრუნვის სერვისი შესაძლებლობას მოგვცემს დავძლიოთ იდივიდუალურად მიუსაფარი ბავშვების საჭიროებები. ჩემთვის მნიშვნელოვანია რომ იგი ჩაანაცვლებს ასევე მოსწავლის სტატუსის აღსადგენად განკუთვნილ ექსტერნის მახინჯ პრაქტიკას. ვგულისხმობ რომ არასწორია ბავშვს რაღაც გაურკვეველი ტესტებისა და გამოცდების საფუძველზე რამდენიმე კლასის მასალა ერთიანად გამოკითხო, დავსვათ მეცხრე კლასში უბრალო ფორმალობის საფუძველზე.“ (ექსპერტი)

„ალტერნატიული საგანმანათლებლო ზრუნვის პროგრამები მნიშვნელოვნად დაეხმარება დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების საგანმანათლებლო აქტივობებსაც. ამ შემთხვევაში მიუსაფარი ბავშვები რომლებიც ამთავრებენ 9 კლასს და შემდგომ აღარ სურთ განათლების მიღება და ამავდროულად უარს აცხადებენ პროფესიულ კოლეჯში

განათლების მიღებაზე, სწორედ აღნიშნული ბავშვების დაფარვას მოახერხებს
ალტერნატიული პროგრამები“ (ექსპერტი)

დასკვნა და რეკომენდაციები

დღის ცენტრები და 24 საათიანი თავშესაფრები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მიუსაფარი ბავშვების ბიო-ფსიქო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. გარდა აღნიშნული გარემოებისა, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მიხედვით, მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა დაეხმაროს მიუსაფარ ბავშვებს განათლების უფლებით სარგებლობაში, შეუწყოს ხელი მათი კოგნიტური და აკადემიური უნარების გაუმჯობესებას. ამდენად, ცენტრები ზრუნავენ რომ ბავშვი ჩართული იყოს ასაკისა და მისი განვითარების შესაბამის საგანმანათლებლო პროცესებში. ისინი პროვაიდერების დახმარებით მუდმივად ცდილობენ ჩართონ ბავშვები არაფორმალურ განათლებაში, ბავშვებთან მუშაობენ სპეციალისტები, რათა დაძლიონ ყველა არსებითი ემოციური თუ ფსიქოლოგიური დისფუნქციები. აღსანიშნავია, მისი ფუნქცია ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებაში, რადგან სწორედ ცენტრის მონაცემებისა და მიუსაფარ ბავშვთა აღრიცხვის საფუძველზე ხდება პროგრამის მიერ ბავშვების იდენტიფიკაცია და მათთან მუშაობა. დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბავშვების სკოლაში ჩარიცხვა და შემდგომში რეინტეგრაცია, სოციალიზაციაში ხელშეწყობა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული დადებითი გარემოებებისა, არსებობს სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხები, მიუსაფარი ბავშვების ბიო-ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეულწილად წარმოადგენენ ბარიერებს ცენტრების საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

კვლევისთვის რელევანტური ლიტერატურისა და სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა სწორედ ეს დამახასიათებელი და ბარიერების შემქმნელი ფაქტორები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყველა არსებული ფაქტორი მოქმედებს ერთმანეთზე და საბოლოო ჯამში იწვევს ბავშვების ასაკის შესაბამისი განათლების მიღმა დარჩენის შესაძლებლობებს. ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობლების გენომს, მათ ტენდენციურობას უარყოფითი ემოციებისა და ქცევის მართვის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის კოგნიტურ და აკადემიურ განვითარებაზე. იმ შემთხვევაში თუ მშობელი არ უწყობს ხელს ბავშვის ასაკის შესაფერის განათლებას, მემკვიდრეობით

მიღებული უარყოფითი ფაქტორები სწრაფად იწყებენ განვითარებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ შემთხვევებში ბავშვები და მოზარდები გამოირჩევიან დაბალი კოგნიტური და აკადემიური უნარებით, ასევე მათთვის დამახასიათებელია სოციალიზაციის დაბალი მაჩვენებელი, ყურადღების დეფიციტი, არიან აგრესიულები და არ შეუძლიათ ქცევისა და ბრაზის მართვა.

ასევე ლიტერატურის ანალიზიდან გამოიკვეთა, სოციალური გარემოს მნიშვნელობა და გავლენა ბავშვისა და მოზარდის კოგნიტურ და აკადემიურ შესაძლებლობებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ოჯახის როლი და იქ არსებული ბარიერები, რომლებსაც ხშირად ვხედავთ როგორც ბავშვის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. ოჯახში ძალადობა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური და სექსუალური, ბავშვის უფლებებელყოფა, სტრესი და გარიყვის შემთხვევები, მშობლების დაბალი განათლების დონე და მათი დაბალი მშობლობის უნარები, სიღარიბე ეს ყველა ძირითადი ფაქტორებია, რის გამოც არ ხდება ბავშვებისა და მოზარდების აკადემიური უნარების განვითარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მათი ემოციური დისფუნქციის გავლენა მახსოვრობით და ლოგიკურ უნარებზე, ხშირად აღენიშნებათ დაბალი აკადემიური მოსწრება, რადგან თავის ტვინი ვერ ახერხებს ეფექტურად მუშაობას სტრესისა და დეპრესიის შემთხვევებში. დაბალი ეკონომიკური პირობების გამო, ბავშვები ვერ ახერხებენ სკოლაში სიარულს და იქ ასაკის შესაბამისი განათლების მიღებას. ამავდროულად, მშობლების განათლების დონე გარკვეულწილად განსაზღვრავს ბავშვის თვითშეფასების დონესაც. როგორც ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, ხშირად ბავშვები, რომლის მშობლებსაც არ აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება, ფიქრობენ რომ ისინი ვერ იქნებიან იმაზე უფრო განვითარებულები, ვიდრე მათი მშობლები არიან, ამიტომ ნაკლებად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში. ამასთანავე, გამოიკვეთა სკოლისა და პედაგოგების მნიშვნელოვანი გავლენა ბავშვისა და მოზარდების განათლების ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზეც. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ლიტერატურის ანალიზის დროს გამოკვეთილი თეზისი, რომ პედაგოგის პროფესიონალიზმში არ იგულისხმება მხოლოდ მისი დარგობრივი ცოდნის ხარისხი, არამედ ემოციური მხარდაჭერა ბავშვისა და მოზარდების მხრიდან, მისი ახსნის უნარები და მეთოდები, სწორი კომუნიაცია

ბავშებთან და ა.შ. ამავდროულად, პედაგოგებისგან და თანაკლასელებისგან დისკრიმინაციული მოპყრობისა და ბულინგის შემთხვევების გამო, ხშირად ბავშები უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე, ხოლო სტრესი და დეპრესიის შემთხვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ კოგნიტურ და აკადემიურ უნარებზე.

განხილული ბარიერები, ხშირად აფერხებს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას და უარყოფით გავლენას ახდენს მის კოგნიტურ განვითარებაზე. ამავდროულად, ზღუდავს მის ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული ფაქტორები განსაკუთრებით პრობლემურია მიუსაფარი ბავშვების შემთხვევაში, რადგან ისინი ყველაზე მეტად არიან მოწყვლადი აღნიშნული ხელისშემშლელი ფაქტორების მიმართ. სწორედ დასახელებული ფაქტორები წარმოადგენენ ერთ-ერთ ბარიერს დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების მუშაობის პროცესში. თუმცა, გარდა ლიტერატურის ანალიზის დროს გამოყოფილი შეზღუდებისა, კიდევ არსებობს ის ძირითადი ბარიერები, რაც გამოიკვეთა კვლევის ანალიზის შედეგად, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ ბავშვების ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებებს, არამედ თავად აღნიშნული ცენტრების მუშაობის სპეციფიკასა და ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას. აღნიშნული ბარიერები მდგომარეობს შემდეგში:

- ბავშვების ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებები, წარმოადგენენ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ბარიერებს ცენტრებისთვის ბავშვებისთვის განათლების მიწოდების პროცესში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ემოციური და ქცევითი დისქუნქციები, რაც გამოწვეულია იმ სოციალური გარემოს ზეგავლენით, რომელშიც ბავშვებს უწევთ განვითარება. მაგალითისთვის კონტაქტი ქუჩასთან, ოჯახში ძალადობის შემთხვევები.
- ბიო-ფსიქო-სოციალური სირთულეების მხრივ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე, რაც ამცირებს მათ კოგნიტურ შესაძლებლობას, და გავლენას ახდენს ემოციურ-ფსიქიკურ სტაბილურობაზე.
- დღის ცენტრებისთვის და 24 საათიანი თავშესაფრებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების პრობლემა, რის გამოც ხშირად ვერ

ახერხებენ ბავშვების სხვადასხვა სახის საგანმანათლებლებლო თუ შემეცნებითი სახის აქტივობებში ჩართვას. რაც ასევე გამოწვეულია პროვაიდერების სიმცირით.

- მიგრანტი მიუსაფარი ბავშვები და მათთან დაკავშირებული ენობრივი ბარიერები. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.
- ცენტრები ხშირ შემთხვევაში ვერ სთავაზობენ მრავალფეროვან განმავითარებელ გარემოს ბავშვებს, რის გამოც ხშირია მათი მხრიდან ცენტრის მიტოვების რისკები.
- გამომდინარე დღის ცენტრების სერვისების სიმცირისა, ისინი ვერ მუშაობენ მიუსაფარი ბავშვების ოჯახებთან.
- სკოლებს არ აქვთ მზაობა მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობის, რის გამოც დღის ცენტრებს უჭირთ ბავშვების რეინტეგრაცია სკოლაში. სკოლების მხრიდან არ არის დღის ცენტრებთან და 24 საათიან თავშესაფრებთან თანამშრომლობის მზაობა, რაც აისახება ბავშვების აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებაზე.
- საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ჩართულობა და ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება იმ კუთხით, რომ მან მოიცვას მეტი მიუსაფარი ბავშვი და სხვადასხვა ასაკისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო აქტივობები.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება გავცეთ შემდეგი სახის რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება დღის ცენტრებსა და 24 საათიან თავშესაფრებს აწარმოონ შედარებით წარმატებული საგანმანათლებლო პროგრამები:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური სერვისები, რომლებიც ცენტრებს შესაძლებლობას მისცემს ჩართონ ბავშვები არაფორმალურ განათლებაში, მათი სოციალური განვითარებისა და ინტეგრაციის მიზნით.
- მოხდეს ბიზნეს სექტორის გააქტიურება, როგორც მომავალი დამსაქმებლების, რაც ცენტრით მოსარგებლე მიუსაფარ ბავშვებს მისცემთ განათლების დამატებით მოტივაციას, მოამზადებს მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.
- შეიქმნას სპეციალური სერვისი სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც შესაძლებლობას მისცემთ დღის ცენტრისა და 24 საათიანი თავშესაფრის

თანამშრომლებს იმუშაონ და გააძლიერონ მიუსაფარი ბავშვების ოჯახები. მიმდინარე გარემოებები მათ არ აძლევთ სისტემური მუშაობის საშუალებას, რაც ხელს უწყობს ბავშვების კვლავ არასტაბილურ გარემოში დაბრუნებას.

- დაიგეგმოს და განხორციელდეს თანამშრომლობა და ტრენინგები მიგრანტ ოჯახებთან, მოხდეს მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით უზრუნველყოფა, ამაღლდეს მათი ცნობიერება ბავშვების განათლებაში ჩართვის აუცილებლობის მიმართულებით.
- დაიდლოს მიგრანტ ბავშვებთან სწავლების პროცესში არსებული, ენობრივი ბარიერები. უპირატესობა უნდა მიენიჭოს როგორც დღის ცენტრებში და 24 საათიან თავშესაფრებში, ასევე სკოლებშიც (სპეციალური პედაგოგები) კადრების აყვანას, რომლებიც ფლობენ უმცირესობათა ენას.
- შეიქმნას სპეციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცენტრში სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების პროცესს, ე.წ. ინდივიდუალური მენტორების ინსტიტუტის შემოღება, რომლებიც ბავშვების განვითარებისა და საჭიროებების მიხედვით შეადგენენ სასწავლო გეგმას, და უზრუნველყოფენ მშობლების ან მზრუნველი პირის ინფორმირებას განათლების მნიშვნელობის შესახებ, აამაღლებენ მისი მშობლობის უნარებს.
- გააქტიურდეს სახელმწიფოს პოლიტიკა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, შეიქმნას ინტეგრირებული და თანამშრომლობითი პროგრამები. პროგრამის ფარგლებში მოხდება იმ ბავშვების დახმარება და ოჯახების გაძლიერება, რომლებიც სკოლაში ვერ დადიან მძიმე სოციალური პირობებისა და სოციალური ინკლუზიის გამო.
- გააქტიურდეს დღის ცენტრებისა და თავშესაფრების კომუნიკაცია სკოლასთან, რათა მათი მეშვეობით მოხდეს სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, ამავედროულად შემცირდეს მოსწავლის სტატუს ადდგენილი და პირველად ჩარიცხული ბავშვების სკოლის მიტოვების რისკები.
- აუცილებელია მასწავლებლებისთვის არსებული ტრენინგები გახდეს სავალდებულო და მათი მხრიდან ჩართულობას არ ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი.

- განათლების სამინისტროს კურირებით და ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნას ალტერნატიული სერვისები. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფენ საბაზისო საფეხურებზე მაღალი ასაკის ბავშვებისთვის (16 წელი და მის ზემოთ) საბაზო საფეხურის პროგრამის დაძლევის, ბავშვების სამომავლო დასაქმების პერსპექტივით.

აღნიშნული რეკომენდაციები შესაბამისობაში მოდის მიუსაფარ ბავშვთა განათლების საერთაშორისო წარმატებულ გამოცდილებასთან. შესაბამისად, მათი საქართველოში დანერგვა და ცვლილებების შესაბამისი სახით განხორციელება, ხელს შეუწყობს დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების წარმატებულ ფუნქციონირებას მიუსაფარი ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. აღნიშნული შედეგი კი პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს კეთილდღეობის პოლიტიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, 2017 თბილისი
<http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf>

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 2017, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017, თბილისი,
<https://www.unicef.org/georgia/media/1036/file/მოსახლეობის%20კეთილდღეობის%20კვლევა%202017.pdf>

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 2018, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში, თბილისი

<https://www.unicef.org/georgia/media/1251/file/ქუჩაში%20მცხოვრები%20და%20მომუშავე%20ბავშვები.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი,
<http://www.ombudsman.ge/res/docs/2019033019563052300.pdf>

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 1996 , ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაკტი, თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0>

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 1994, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 1993 , განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0>

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2014, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>

საქართველოს კონსტიტუცია, 1995, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

საქართველოს პარლამენტი კანონი, 2005, ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78>

შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი II, , 2018, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი

Azzi-Lessing, L. (2010). Growing Together: Expanding Roles for Social Work Practice in Early Childhood Settings. *Social Work*, 55(3), 255-263. Retrieved from <http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/23719081>

www-jstor-org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/pdf/43958586.pdf Diana DeMont 2012, Overcoming Educational Disadvantage: Shelter Initiatives for Homeless Children National Conference on Undergraduate Research (NCUR) Presenter https://vc.bridgew.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ru/&httpsredir=1&article=1209&context=undergrad_rev

Mayer, S. (2008). Dewey's Dynamic Integration of Vygotsky and Piaget. *Education and Culture*, 24(2), 6-24. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/10.5703/educationculture.24.2.6>

Demetriou, A., Spanoudis, G., & Mouyi, A. (2011). Educating the Developing Mind: Towards an Overarching Paradigm. *Educational Psychology Review*, 23(4), 601-663. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/23883167>

Gillen, J. (2000). Versions of Vygotsky. *British Journal of Educational Studies*, 48(2), 183-198. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/1556004>

SCHECTER, B. (2011). "Development as an Aim of Education": A Reconsideration of Dewey's Vision. *Curriculum Inquiry*, 41(2), 250-266. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/4123838>

Kathleen Mullan Harris, & Thomas W. McDade. (2018). The Biosocial Approach to Human Development, Behavior, and Health Across the Life Course. *RSF: The Russell Sage Foundation Journal of the Social Sciences*, 4(4), 2-26. doi:10.7758/rsf.2018.4.4.01

Thompson, R. (2014). Stress and Child Development. *The Future of Children*, 24(1), 41-59. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/23723382>

Clouston, S., Richards, M., Cadar, D., & Hofer, S. (2015). Educational Inequalities in Health Behaviors at Midlife: Is There a Role for Early-life Cognition? *Journal of Health and Social Behavior*, 56(3), 323-340. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/44001143>

Horwitz, B., & Neiderhiser, J. (2011). Understanding Family Process and Child Adjustment Through Behavioral Genetic Research: A Reply. *Journal of Marriage and Family*, 73(4), 827-831. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/29789628>

Tucker-Drob, E., Briley, D., & Harden, K. (2013). Genetic and Environmental Influences on Cognition Across Development and Context. *Current Directions in Psychological Science*, 22(5), 349-355. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/44318687>

Duncan, G., Magnuson, K., & Votruba-Drzal, E. (2014). Boosting Family Income to Promote Child Development. *The Future of Children*, 24(1), 99-120. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/23723385>

Cuellar, A. (2015). Preventing and Treating Child Mental Health Problems. *The Future of Children*, 25(1), 111-134. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/43267765>

Roberts, K, 2018, Homelessness and Adult Education in the UK and Malta, Malta Review of Educational Research, Malta

https://www.academia.edu/38149752/Homelessness_and_Adult_Education_in_the_UK_and_Malta

Lynch, S., Wood, J., Livingood, W., Smotherman, C., Goldhagen, J., & Wood, D. (2015). Feasibility of Shelter-Based Mental Health Screening for Homeless Children. *Public Health Reports (1974-)*, 130(1), 43-47. Retrieved from

<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/43776106>

OECD. (2018). *Equations and Inequalities: Making Mathematics Accessible to All*. paris: OECD publishing.

https://read.oecd-ilibrary.org/education/developing-minds-in-the-digital-age_562a8659-en#page3

Patricia K. Kuhl, S.-S. L. (2019). *Developing Minds in the Digital Age: Towards a Science of Learning for 21st Century Education*. paris: OECD publishing.

https://read.oecd-ilibrary.org/education/developing-minds-in-the-digital-age_562a8659-en#page4

OECD. (2018). *Settling In 2018: Indicators of Immigrant Integration* OECD publishing, paris.

https://read.oecd-ilibrary.org/social-issues-migration-health/indicators-of-immigrant-integration-2018_9789264307216-en#page4

OECD. (2018). *Education at a Glance 2018: OECD indicators*. paris: OECD publishing. https://read.oecd-ilibrary.org/education/education-at-a-glance-2018_eag-2018-en#page3

Guerriero, S. (2019). Pedagogical Knowledge and the Changing Nature of the Teaching Profession. Paris: OECD publishing.

https://read.oecd-ilibrary.org/education/pedagogical-knowledge-and-the-changing-nature-of-the-teaching-profession_9789264270695-en#page3

World Bank, (2019). World Development Report 2019: The Changing Nature of Work. Washington. <http://documents.worldbank.org/curated/en/816281518818814423/pdf/2019-WDR-Report.pdf>

O'Connor, E., Dearing, E., & Collins, B. (2011). Teacher-Child Relationship and Behavior Problem Trajectories in Elementary School. *American Educational Research Journal*, 48(1), 120-162. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/27975283>

Gačić, S., & Čanković, V. (2015). Education as an economic factor of development in Bosnia and Herzegovina. *SEER: Journal for Labour and Social Affairs in Eastern Europe*, 18(1), 47-58. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/26379799>

Ashford, J. B., & LeCroy, C.W. (2010). *Human Behavior in the Social Environment: A multidimensional Perspective*. Printed in the United States of America.

Elena Volpi, 2002, *Street Children: Promising Practices and Approaches*, World Bank Institute, Washington,

<http://documents.worldbank.org/curated/en/344301468763803523/pdf/263880WBI0Street0children.pdf>

Nilika Dutta, 2018, *Street children in INDIA: A study on their access to health and education*,

https://www.researchgate.net/publication/323899395_STREET_CHILDREN_IN_INDIA_A_STUDY_ON_THEIR_ACCESS_TO_HEALTH_AND_EDUCATION

Wei Huang, 2015, *Understanding the Effects of Education on Health: Evidence from China*, IZA Discussion Paper,

<http://ftp.iza.org/dp9225.pdf>

Diane K. Wherrett MD, FRCPC, Josephine Ho MD, MSc, FRCPC, Céline Huot MD, MSc, FRCPC, Laurent Legault MD, FRCPC, Meranda Nakhla MD, MSc, FRCPC, Elizabeth Rosolowsky MD, MPH, FAAP, FRCPC. 2018, *Diabetes Canada Clinical Practice Guidelines Expert Committee*. Published by: Canadian Journal of Diabetes

<https://pdfs.semanticscholar.org/46d1/f333bfe8a4fd0487dbdbcde2bd89d917640b.pdf>

Goldfarb, K. (2017). Food, Affect, and Experiments in Care: Constituting a "Household-like" Child Welfare Institution in Japan. In Frühstück S. & Walthall A. (Eds.), *Child's Play: Multi-Sensory Histories of Children and Childhood in Japan* (pp. 243-263). Oakland, California: University of California Press. Retrieved from

<http://www.jstor.org/lez.tsu.edu.ge:2048/stable/10.1525/j.ctt1w8h25q.17Copy>

- Cénat j, Derivois, D, Hébert. M, Amedee, L, Karray, A, 2018, Multiple traumas and re Child Abuse & Neglect silence among street children in Haiti: Psychopathology of survival, Elsevier.
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S014521341830036X>
- Calkins, S. (2011). Biopsychosocial Models and the Study of Family Processes and Child Adjustment. *Journal of Marriage and Family*, 73(4), 817-821. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/29789626>
- NAROŞ, M., & SIMIONESCU, M. (2019). THE ROLE OF EDUCATION IN ENSURING SKILLED HUMAN CAPITAL FOR COMPANIES. *Theoretical and Empirical Researches in Urban Management*, 14(1), 75-84. Retrieved from
<https://www-jstor-org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/26590930>
- Raghavan, R., & Alexandrova, A. (2015). Toward a Theory of Child Well-Being. *Social Indicators Research*, 121(3), 887-902. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/24721562>
- UNDERWOOD, J. (2016). Expanded support for homeless students. *The Phi Delta Kappan*, 98(3), 76-77. Retrieved from <http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/24893584>
- Moran, K. (2015). Anxiety in the classroom: Implications for middle school teachers. *Middle School Journal*, 47(1), 27-32. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/43958586>
- Greenberg, M., Domitrovich, C., Weissberg, R., & Durlak, J. (2017). Social and Emotional Learning as a Public Health Approach to Education. *The Future of Children*, 27(1), 13-32. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/44219019>
- BenDavid-Hadar, I. (2014). Education, Cognitive Development, and Poverty: Implications for School Finance Policy. *Journal of Education Finance*, 40(2), 131-155. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/24459391>
- Chris G. Richardson, Jae-Young Kwon, & Pamela A. Ratner. (2013). Self-esteem and the Initiation of Substance Use Among Adolescents. *Canadian Journal of Public Health / Revue Canadienne De Santé Publique*, 104(1), E60-E63. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/canajpublheal.104.1.0e60>
- WATERS, S., & RUSSELL, W. (2014). Preservice Secondary Teachers' Sense of Efficacy in Teaching Character Education. *The Journal of Education*, 194(2), 45-54. Retrieved from
<http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/43823493>

UNESCO, 2018 Global education monitoring report 2019: Migration, displacement and education: building bridges not wall, Published in 2018 by the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, Paris

<http://en.ichei.org/uploads/2018/11/2019-Global-Education-Monitoring-Report-Mirgration-displacement-and-education-building-bridges-not-walls.pdf>

დანართი

I. ინტერვიუ სოციალურ მუშაკთან:

1. როგორ ფიქრობთ რამდენად სრულყოფილად სარგებლობენ, საქართველოში მიუსაფარი ბავშვები განათლების უფლებით?
2. გთხოვთ ჩამოთვალოთ ის ფაქტორები, რომელთა გამოც ბავშვები ვერ ახერხებენ განათლების მიღებას:
 - სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ეკონომიკური ფაქტორები
 - ბიუროკრატიული ბარიერები
3. გთხოვთ გვესაუბროთ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ბავშვის განვითარების პროცესებში?
 - კოგნიტური განვითარება
 - ემოციური და ფსიქიკური განვითარება
 - სოციალური უნარების განვითარება
4. გთხოვთ გვესაუბროთ მიუსაფარ ბავშვთა განვითარების იმ თავსებურებებზე, რომლებიც ხელს უშლის მათი განათლების პროცესს?
 - კოგნიტურ განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ემოციურ განვითარებასთან და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ქცევის მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები
5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თავშესაფრის საგანმანათლებლო პოლიტიკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე:
 - როგორ ხდება ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მისი განხორციელება
 - როგორ თანამშრომლობთ სკოლებთან ან სხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
6. გთხოვთ, გვესაუბროთ თავშესაფარში მოქმედ სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებზე?

- ტრანზიტული პროგრამის უპირატესობები და გამოწვევები
 - განათლების მეორე შანსის უპირატესობები და გამოწვევები
7. გთხოვთ, დაგვისახელოთ რა ტიპის აქტივობებს და სერვისებს სთავაზობთ დღის ცენტრისა და თავშესაფრის ბავშვებს? და მოიცავენ თუ არა ისინი
- ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებას
 - მათ პროფესიულ განვითარებას
8. როგორ ფიქრობთ, რა სახის ინტრვენციებია საჭირო იმისთვის, რომ გაიზარდოს განათლების მიწოდებაში დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების როლი?
- სახელმწიფოს ჩართულობის გააქტიურება
 - თავშესაფრებში დამატებითი სერვისების არსებობა

II. სპეც-პედაგოგი:

1. მიუსაფარი ბავშვების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე რა სირთულეებს ხვდებით შეფასების პროცესში?
- კოგნიტური განვითარების პრობლემები
 - ემოციური და ფსიქიკური სირთულეები
 - ბრაზის მართვა და ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები
2. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ დაგვისახელოთ ძირითადად რა სირთულეებს ხვდებით ბავშვებთან მუშაობის პროცესში?
- არსებობს თუ არა ენის ბარიერი ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობის პროცესში
 - რა სირთულეებს იწვევს სოციალური გარემო და სტიგმები ბავშვის განვითარებაში
3. გთხოვთ აღწეროთ, როგორია თქვენი მუშაობის სპეციფიკა დღის ცენტრისა და თავშესაფრის ბავშვებთან? მოიცავენ თუ არა ისინი:
- ტესტებსა და დავალებებს კოგნიტური განვითარებისთვის
 - აქტივობებსა და ტრენინგებს
 - ინტეგრირებულ ღონისძიებებს(სკოლასთან ან კოლეჯთან)

4. შეგიძლიათ დაგვისახელოთ რა ტიპის პოზიტიური ცვლილებებამდე მიჰყავხართ ბავშვებთან ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ მუშაობას?
 - როგორ შეიცვალა მათი კოგნიტური უნარები
 - როგორ შეიცვალა სკოლაში მათ აკადემიური მოსწრება
 - რამდენად გაიზარდა მათი ინტერესი განათლების მიმართ
5. მიუსაფარი ბავშვების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, თქვენი აზრით რა ტიპის პროგრამები უნდა მოქმედებდეს ცენტრში?
 - ბავშვების კოგნიტური უნარების გასაუმჯობესებლად
 - ემოციური და ფსიქოლოგიური სირთულეების დასაძლევად
 - იმისთვის რომ გაიზარდოს ბავშვების განათლებით და სკოლაში სწავლით დაინტერესება

III. ფსიქოლოგი:

1. გთხოვთ გვესაუბროთ მიუსაფარ ბავშვთა განვითარების იმ თავისებურებებზე, რომლებიც ხელს უშლის მათი განათლების პროცესს?
 - კოგნიტურ განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ემოციურ განვითარებასთან და ფსიქიკური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ქცევის მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები
2. დაგვისახელეთ ის ძირითადი ფაქტორები, რის გამოც ისინი უარს ამბობენ განათლების მიღებაზე?
 - სოციალური გარემოს როლი(ოჯახი, სამეგობრო წრე)
 - ბავშვების ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა
 - სტიგმა, ბულინგი
3. დაგვისახელეთ აქტივობები და მათი ტიპები, რომლებსაც იყენებთ ბავშვებთან სხვადასხვა ემოციური თუ ქცევითი ფუნქციების განვითარებისა თუ ჩამოყალიბების მიზნით?
 - რამდენად ხშირად მუშაობთ მათთან მოტივაციის ამაღლებაზე

- როგორ მუშაობთ მიჯაჭვულობის პრობლემაზე
 - დამოკიდებულების პრობლემას სხვადასხვა ჩვევებისა თუ ნივთიერებების მიმართ
4. როგორ ფიქრობთ რა მიმართულებით არის საჭირო თავშესაფრის პროგრამების გაძლიერება, რომ მოხდეს ბავშვების მეტად ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში?
- რა სერვისებს დაამატებდით
 - როგორ განავითარებდით არსებულ სერვისებს
5. როგორ ფიქრობთ რამდენად უწყობს ხელს თავშესაფრის პროგრამები ბავშვების დაინტერესებას და მათი საგანმანათლებლო უნარების გაუმჯობესებას?
- რა უპირატესობა აქვთ ცენტრის პროგრამებით მოსარგებლე ბავშვებს
 - რამდენად ამზადებს არსებული სერვისები მიუსაფარ ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
6. როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პროგრამების მუშაობას დღის ცენტრებში და ღამის თავშესაფრებში?
1. რა მიმართულებით არის საჭირო პროგრამების დამატება, განვითარება
 2. ბავშვების რა საჭიროებებს ფარავს არსებული პროგრამები

IV. სკოლის დირექტორი:

1. გთხოვთ დაგვისახელოთ ის პრობლემატური საკითხები, რის გამოც ვერ ხერხდება სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა?
 - ბიუროკრატიული შეზღუდვები
 - სოციალური გარემო
 - ბავშვის კოგნიტურ-ემოციური განვითარება
2. როგორ ფიქრობთ რა ცვლილებებია საჭირო, რათა მოხდეს მომართვიანობის გაზრდა რათა სასწავლო პროცესი იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი?

- სკოლაში მიღების პროცედურების გამარტივება
 - დღის ცენტრებისა და თავშესაფრების ჩართულობის გაზრდა
 - სახელმწიფოს ჩართულობის გაზრდა
 - ოჯახის გაძლიერება სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით
3. როგორ მუშაობს სკოლა და მისი აკადემიური პერსონალი მიუსაფარი ბავშვების აკადემიური გეგმის შემუშავებაზე?
- როგორ ხდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება
 - რამდენად მორგებული და დაძლევადია საგანმანათლებლო პროგრამა ბავშვებისთვის
 - აქტივობები
4. როგორ შეაფასებდით დღის ცენტრებისა და თავშესაფრების ჩართულობას ბავშვების აკადემიური თუ სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში?
- სოციალური მუშაკის როლი
 - სპეც-პედაგოგის როლი
 - ფსიქოლოგის როლი
5. გთხოვთ დაგვისახელოთ, რა ინტერვალით იგეგმება ინტეგრირებული აქტივობები სკოლისა და თავშესაფრის მონაწილეობით?
6. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს ჩართულობას და არსებულ პოლიტიკას ბავშვების საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვის მიმართულებით?
- არსებული სერვისებს უპირატესობები და გამოწვევები
 - რა პროგრამების დამატებას ისურვებდით სკოლის როლის გასაძლიერებლად

V. სკოლის პედაგოგი:

1. გთხოვთ გვესაუბროთ მიუსაფარ ბავშვთა განვითარების იმ თავისებურებებზე, რომლებიც წარმოადგენენ ბარიერებს მათთან მუშაობის პროცესში?
- კოგნიტურ განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორები
 - ემოციურ განვითარებასთან და ფსიქიკური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები

- ქცევის მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები
2. გთხოვთ გვესაუბრობთ სკოლის სასწავლო პოლიტიკაზე და მიუსაფარი ბავშვების სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე:
 - როგორ ხდება ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მისი განხორციელება
 - რამდენად დაძლევადია სკოლის პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის
 3. გთხოვთ გვესაუბროთ რა ბარიერები ექმნებათ მიუსაფარ ბავშვებს სკოლაში განათლების მიღების პროცესში?
 - რესოციალიზაციის პრობლემა
 - სტიგმა, ბულინგი
 - აკადემიური ჩამორჩენა
 4. როგორ თანამშრომლობთ დღის ცენტრებისა და თავშესაფრის წარმომადგენლებთან, ბავშვების აკადემიური და ქცევითი უნარების გაუმჯობესების მიზნით?
 - აწყობთ თუ არა ინტეგრირებულ აქტივობებს
 - რამდენად ხშირად ხვდებით თავშესაფრების წარმომადგენლებს
 5. როგორ შეაფასებდით დღის ცენტრებისა და თავშესაფრების როლსა და ჩართულობას მიუსაფარი ბავშვების განვითარების პროცესში?
 - როგორ გაუმჯობესდა მათი აკადემიური უნარები
 - როგორ შეიცვალა მათ ემოციური მდგომარეობა
 - როგორ შეიცვალა მათი ქცევითი უნარები
 6. გთხოვთ გვესაუბროთ რა მიმართულებით ისურვებდით სახელმწიფო სერვისების ან პროგრამების განვითარებას, რათა განათლება გახდეს ხელმისაწვდომი მიუსაფარი ბავშვებისთვის?

VI. ექსპერტი:

1. როგორ ფიქრობთ რამდენად დაცულია საქართველოში მიუსაფარი ბავშვების განათლების უფლება?

2. გთხოვთ გვესაუბროთ განათლების მნიშვნელობაზე ბავშვების განვითარების პროცესში?
 - კოგნიტური განვითარება
 - ემოციური-ფსიქიკური განვითარება
 - სოციალური უნარების შექმნა
3. გთხოვთ დაგვისახელოთ ის ძირითადი ბიუროკრატიული, სოციალური თუ სხვა ტიპის შეზღუდვები, რის გამოც ბავშვები ვერ ახერხებენ განათლების, განვითარების უფლებით სარგებლობას?
4. როგორ ფიქრობთ რა მნიშვნელობა აქვს დღის ცენტრებისა და 24 საათიანი თავშესაფრების მიერ გატარებულ საგანმანათლებლო აქტივობებსა და პროგრამებს ბავშვების განვითარებისთვის?
5. გთხოვთ დაგვისახელოთ, რა სახის ცვლილებებია საჭირო დღის ცენტრებსა და თავშესაფრებში, იმისთვის რომ უფრო აქტიურად მოხდეს ბავშვების ჩართულობა სასწავლო პროცესებში?
 - ცვლილებები საგანმანათლებლო პოლიტიკაში
 - ცვლილებები საგანმანათლებლო აქტივობებში, სერვისებში
6. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს პოლიტიკას მიუსაფარი ბავშვების განათლების უფლების დაცვის მიმართულებით?
 - „ტრანზიტული“ პროგრამები
 - „განათლების მეორე შანსი“
7. შეგიძლიათ გვესაუბროთ საერთაშორისო გამოცდილებაზე, რა პრაქტიკა არსებობს მიუსაფარი ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით?
 - სახელმწიფო პროგრამების, სერვისები
 - დღის ცენტრებისა და თავშესაფრების სერვისები
 - საკანონმდებლო პოლიტიკა

VII. ინტერვიუ ბენეფიციარებთან

1. შეგიძლია მითხრა როგორ გესმის სიტყვა განათლების მნიშვნელობა ?

2. როგორ ფიქრობ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას პიროვნების განვითარებისთვის?
3. შეგიძლია დაასახელო ის ძირითადი გარემოებები/მიზეზები რის გამოც ხშირად ვერ ახერხებ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას?
4. როგორ მოგწონს დღის ცენტრისა და თავშესაფრის აქტივობები, როგორ ფიქრობ რამდენად გეხმარებიან განვითარებაში?
 - კოგნიტური უნარების გაუმჯობესება
 - ემოციური-ფსიქიკური სტაბილურობა
 - ქცევითი პრობლემების გაუმჯობესება
 - რესოციალიზაცია
5. თუ გახსენდება ისეთი შემთხვევა როდესაც გასურდა მონაწილეობის მიღება ცენტრში ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობებში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ასე არ მოხდა? დაასახელე ეს მიზეზი.
6. როგორ ფიქრობ დღის ცენტრისა და თავშესაფრის საგანმანათლებლო პროგრამები დაგეხმარებიან სამომავლოდ დამოუკიდებელ ცხოვრებაში? პროფესიულ განვითარებაში?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lia Tikurishvili

Day care centers and 24 hours respite care center's role in the
educational process of homeless children: challenges and perspectives

Social Work

Master Thesis is done to obtain the master's degree in Social Work

Supervisor: Tamar Makharadze

Associate professor of Faculty of Social and Political Sciences of TSU

Tbilisi

2019